726/8413

საქართველოს ქალებს!

სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გაზეთი

№ 5 (285) გამოცემის მე-16 წელი

1972 წლის 10 მარტი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება და გაზეთი „სამშობლო“ ღრმა პატივისცემითა და მოკრძალებით ულოცავს საქართველოს ქალებს, დღევანდელ და ხვალინდელ დედებს, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენი ერის ამაგდარ მანდილოსნებს გაზაფხულის, — ყველა და ყოველი სულიერის ხელახალი აღზავების, — პირველი თვის პირველ დღესასწაულს, ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

გისურვებთ სიკეთეს, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, გამარჯვებებს სამშობლოსათვის ხელმარჯვე გარჯაში, ოჯახის დადუღაბებაში, შვილების ჭეშმარიტ მამულიშვილებად აღზრდაში, ჩვენი ქვეყნის ერთგულებაში, მამულისათვის კეთილშობილურ საქმიანობაში, საქართველოს დაუღალავ სიყვარულში, უცხოეთში დაბადებულ ქართველ ყმაწვილთათვის მშობლიური ენის შეთვისებაში — გამარჯვებებს გისურვებთ მარადის.

საქართველოში ოდითგანვე რიდსა და პატივისცემას იმსახურებდა მამულისათვის მზრუნველი და ოჯახის, — ერის ამ უმთავრესი საძირკვლის, — ერთგული მანდილოსანი. სამშობლოს ისტორიის ავბედით თუ ბრწყინვალე ფურცლებზე ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი ყველა იმ ქალის სახელი, ვინც საქართველოს ხსნასა თუ აღმავლობას შეალია თავისი ძალა, ჯანი და თვით სიცოცხლე, ვინც თეთრად ათენა აკვნების რწევაში, ვინც ვაზი ახარა, მტერს ხმალი მოუქნია, ქართული კერა არ გაანელა, სამშობლოს გადასარჩენად ქმარ-შვილს გზა დაულოცა, სახლ-კარის მოვლა-პატრონობა კი თვითონ ითავა.

საქართველოში სასოებისა და სათნოების შარავანდედით ამკობენ ქალს მეოჯახეს, მევენახეს, მეჩაიეს, სოფელში გამრჯელს, ქარხნისა და ფაბრიკის მუშას, მწერალსა და მეცნიერს, მასწავლებელსა და მასწავლებელს, ექიმსა და დიასახლისს, ოჯახის დედაბოძს, ცხრა თვეს შვილის მუცლით მატარებელს, ცხრა თვეს ძუძუს მაწოვებელს, მთელი სიცოცხლის მანძილზე უანგარო სიყვარულში დაუღალავ დედას.

განსაკუთრებით ვეამბორებით შინ მოუსვლელთა, საბჭოთა სამშობლოს დაცვაში გმირულად დაცემულ მამულიშვილების დედებს, მონაგარით გახარებას ვუსურვებთ მათ დაკოდილ გულებს.

ჩვენი გაზეთის ამავე გვერდზე ვაქვეყნებთ გიორგი შურდულაძის წერილს შვილისადმი, ომის შემდეგ არგენტინაში რომ დარჩა. შვილს დაბრუნებას ემუდარება მამა: „მე და დედაშენი შენს გზას გავყურებთ... დედის გული მაინც სხვა არის — ტირილით იღვიძებს და ტირილითვე იძინებს... ვცოცხლობთ, შვილო, ვცოცხლობთ იმ იმედით, რომ ჩვენს კერას არ გააციებ...“.

ნურმც გაციებულა ქვეყნად ოჯახის კერა, ნურმც დაკარგულან უგზო-უკვლოდ მამულიშვილები, ჩვენი გაზეთის ფურცლებით გაფაციცებით რომ ეძებენ დედები, ცოლები, დები, შვილები... ნურმც დასწყდომიათ თვალები შვილების მოლოდინში ქართველ, რუს, სომეხ, ფრანგ, გერმანელ, ვიეტნამელ დედებს, ყველა დედას ეხაროს თავისი უპირველესი და უსპეტაკესი ბედნიერებით, შრომისა და გარჯის თავდაპირველი საწინდარით, დედური იმედით და უანგარო სიყვარულით!

იძალოს გაზაფხულმა, დადნეს ყინული ყველგან.

იხაროს საქართველოს ქალმა, დიდება საქვეყნო მშვიდობას — დედას!



მთაშიც იძალა გაზაფხულმა, ყინვა დაიშურა.

პატივცემულო რედაქტორო!

ჩემი შვილი ვანია (ესე ვეძახდი პატარაობიდანვე ვანოს) ბურდულაძე დიდ სამამულო ომში იბრძოდა. ამ ომმა ბევრს აურია გზა-კვალი, ჩემი შვილიც მათ შორის აღმოჩნდა, უცხოეთში ამოჰყო თავი. წერილებს მიგზავნის, მიხარია, რომ ცოცხალია, მაგრამ მოგეხსენებათ — გინდ მკვდარი, გინდ შინმოუსვლელიო.

ბერიკაცი გევედრებით, თქვენი გაზეთის — „სამშობლოს“ საშუალებით ხმა მიაწვდინოთ ჩემს შვილს, რომელიც ამჟამად არგენტინაში ცხოვრობს. გაზეთში ადგილი დაუთმეთ ამ ჩემს პატარა წერილს — იქნებ ამან უფრო გაჭრას.

ჩემი შვილის მისამართია: არგენტინა, ბუენოს-აირესი, სერანოს ქუჩა 135.

იან (ვანია) ბურდულაძეს.

პასუხი მაცნობეთ მისამართით: გურჯაანის რაიონი, სოფელი მელისციხე, გიორგი ბურდულაძე.

შვილო ვანია!

ამ წერილს მამაშენი გიორგი გწერ, დედაშენიც შემოგეხვეწა, კარგად გაგვიგო გულისთქმა. ორიოდე წლის წინათ იწერებოდი: საქართველოს ყველა შენატრის და მე უცხოეთში რა გამაჩერებს, მალე დავბრუნდები და კერას არ გაგიცივებთო. მას შემდეგ, შვილო ვანია, მე და დედაშენი შენს გზას გავყურებთ და გელით, შენ კი არ ჩანხარ...

ბიჭო, მარტო შენ ხომ არ მოხვდი უცხოეთში, ომმა, ვინ იცის, რამდენს აურია გზა-კვალი, მაგრამ შინისკენ მომავალი გზა ცოტამ დაკარგა, ბევრნი ჩამოვიდნენ. ვისაც სახლ-კარი არ ჰქონდა — დაეხმარნენ, ეზოც მისცეს და ვენახიც, სახლიც დაადგმევინეს. შენ ხომ არაფერი დაგჭირდება, შვილო, სახლიცა გაქვს და კარიც, ჩემი მარჯვენით ჩაყრილი ნამყენი ვაზიც შენია! ან, იქნებ, ვაზი აღარ გიყვარს, ბიჭო!

გულს კი არ გიტეხთ, შვილო, და დავბერდით, დედაშენი მეტწილად ლოგინში წევს, მეც მუხლი აღარ მერჩის, თვალიც აღარ მიჭრის — 84 წლის კაცი ვარ... ნუ გაგვიმწარებ, შვილო, უკანასკნელ წლებსა და დღეებს. არ მინდა ისე მოვკვდე, რომ ჩემი ვაჟკაცის ცრემლს არ ვეღირსო, მიწა შენი ხელით არ მომეყაროს და საფლავზე პატარა ნიშანი არ გამიკეთო. ამასვე გევედრება საწყალი დედაშენიც. დედის გული მაინც სხვა არის — ტირილით იღვიძებს და ტირილითვე იძინებს. ვცოცხლობთ, შვილო, ვცოცხლობთ იმ იმედით, რომ ჩვენს კერას არ გააციებ, ჩამოხვალ, მამულს მოუტრიალდები, სახლს, ვენახს მიხედავ და ჩვენც გაგვახარებ...

შენი დის, ქეთოს ბავშვები მახარებენ, შენი შვილი კი ვერა და ვერ ავიყვანე ხელში. ქეთოც რომ ადრე დავკვირვდა. იმასაც შენი მიხედვა უნდა, ბიჭო! მოგვხედე, შვილო, დაუბრუნდი შენს საყვარელ, წლობით უნახავ მამულს. შენც კარგად იცი: უსამშობლო კაცი ფუტურო ხარ.

გწერს მამაშენი გიორგი ბურდულაძე

რედაქციისაგან: პატივცემულო გიორგი! გისრულებთ თხოვნას, ვაქვეყნებთ თქვენს წერილს; ვფიქრობთ, თქვენი საყვარელი ვაჟი უპასუხოდ არ დატოვებს სამშობლოდან მიწვდენილ მშობლების ხმას.

სიჭაბუკის თავყრილობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში 6-7 მარტს ჩატარდა საქართველოს კომკავშირის ოცდამეცხრე ყრილობა.

წინა ყრილობიდან ოცდამეცხრემდე ორი წელიწადი გავიდა. ორი წელიწადი დროის მცირე მონაკვეთია, მაგრამ იგი აღსავსე იყო მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებით. გაიმართა სკკპ ოცდამეოთხე ყრილობა, საბჭოთა საქართველომ და მისმა სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ იზეიმეს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, სულ რამდენიმე თვის წინათ საქართველოს კომკავშირმა სიამაყით აღნიშნა თავისი არსებობის ორმოცდაათი წლისთავი.

ჩვენს ახალგაზრდობას, მუყაით ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ღრმად ჰქონდათ შეგნებული თავიანთი როლი და მოვალეობა ამ ისტორიული თარიღების შესახვედრად. საწარმოებში, ხარაჩოებზე, საკოლმეურნეო მინდვრებსა თუ სასწავლო შერხებთან ასობით ახალგაზრდა ენთუზიასტი არ იშურებდა ცოდნასა და გამოცდილებას, არ ზოგავდა ძალასა და ენერგიას, რათა კიდევ ერთხელ მიეძღვნა სამშობლოსათვის თავისი შრომის ნაყოფი, კიდევ ერთი აგური მიეტანა კომუნიზმის მშენებლობაზე, დაემტკიცებინა კომუნისტური პარტიისადმი, ლენინური კომკავშირისადმი ერთგულება.

წინა ყრილობის შემდგომ საფუძველი ჩაეყარა მეცხრე ხუთწლედს — საბჭოთა ადამიანის სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის ხუთწლედს.

საბჭოთა ხალხის ტიტანურ შრომასა და თავდადებას მხარა აუბეს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდებმაც. „ხუთწლედს — ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ძიება“ — ეს დევიზი ახლობელია ყველა კომკავშირელისათვის. საქართველოს ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც გაზრდილი არიან მდიდარ კულტურულ და შრომითს ტრადიციებზე, იღვწიან ერთი მიზნით, ერთი სურვილით — ამრავლონ ეს ტრადიციები, ბარაქა მოუტანონ სამშობლოს, ცხოვრება უფრო სამური გახდონ.

ყოველივე ამის შესახებ ისაუბრეს საქართველოს კომკავშირის რჩეულმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, შეჯამდა ორი წლის მჭიდფარე, შემოქმედებითი გამარჯვებით აღსავსე ცხოვრების შედეგები. დაისახა მორიგ მწვერვალთა დალაშქვრის დიდი გეგმებიც.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ: მიხეილ გოგიჩაიშვილი, ალექსი ინაური, შალვა კიკნაძე, ოთარ ლოლაშვილი, ვასილ მშავანაძე, ალგერტ ჩურკინი, ნიკოლოზ ცხაკაია, გიორგი ქოჭენიძე, შოთა ბანუშვაძე, გივი ჯავახიშვილი, როინ მეტრეველი, თეიმურაზ მოსაშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი, სრულიად საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბორის პუგო.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მშავანაძემ, რომელსაც დაისწრენი გულთბილად შეხვდნენ.

• • •

7 მარტს გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ჯუმბერ პატიაშვილი, მეორე მდივნად — ია გამრეკელი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ნუგზარ ფოფხაძე და ნათელა ლაღიძე.







სურათებზე: ზევიდან — სიტყვას ამბობს მხატვრული ფილმების ყოფილის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი სერგეი ბონდარჩუკი; ლია ელიავა, სოფიკო ჭიაურელი, ვლადიმერ გოლოვნია და ლეილა აბაშიძე; კინომსახიობები ლეილა აბაშიძე და ალა ლარიონოვა.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტოები

მეხუთე მიბილისური — სიყვარულით უწოდეს თბილისელებმა იმ დიდ ზეიმს, რომელიც ჩვენს დედაქალაქში გაიმართა. სხვა რა შეიძლება დაარქვა იმ სიხარულისა და აღტაცების, ძმობისა და მეგობრობის უკვდავ გრძნობას, რომელიც მეხუთე სრულიად საკავშირო კინოფესტივალის ღღეებში სუფევდა თბილისში და რომელმაც კიდევ ერთხელ გვიჩვენა საბჭოთა კინოხელოვნების აღმავლობა.

საბჭოთა კინოს ოსტატთა საუკეთესო ნამუშევრების პერიოდული, ფართო დათვალიერება ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წინ ეწყობოდა, 1964 წლიდან კი მტკიცედ დამკვიდრდა ტრადიცია — ორ წელიწადში ერთხელ გაიმართოს საკავშირო კინოფესტივალი.

მეხუთე თბილისური 22 თებერვალს დაიწყო. თბილისის ფილარმონიის ხალხით სავსე დიდ დარბაზში გაისმა ფესტივალის მელოდია და მსახიობებმა — ლეილა აბაშიძემ, ლუდმილა ჩურსინამ, გუნარ ცილისკისმა და ამ სტრიქონების ავტორმა ფესტივალის აღამი აღვმართეთ. დაიწყო კინოფესტივალი, რომელიც გადაიქცა საბჭოთა კინოს ოსტატთა შარშანდელი ნაამაგარის დემონსტრაციად.

ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს დიდხანს ესსომებათ საქართველოში გატარებული დღეები. მოვუსმინოთ ზოგიერთ მათგანს:

ოლიგერტს დუნპერსს, ლატვიელი რეჟისორი — მინდა გიამბოთ, როგორ შევიძინე ნამდვილი მეგობარი თბილისში...

ვმუშაობდი ახალ ფილმზე, რომლის ნაწილი საქართველოში უნდა გადაგვეღო და აი, ჩამოვედი თბილისში, რათა დაგვესრულებინა ჩვენი სამუშაოს „ქართული ნაწილი“. აუცილებლად გვჭირდებოდა სახლის დეკორაცია და არქიტექტორ კონსტანტინე ჩხეიძეს მივმართე. ჩემმა ახალმა ნაცნობმა ყურადღებით მომისმინა, შერე გაოცებით გაშალა ხელები: „კი მაგრამ, რად გინდათ დეკორაცია? მე მაქვს თქვენთვის საჭირო სახლი. წავიდეთ ჩვენთან“. მოხდა ისეთი რამ, რაც ალბათ არ მოხდებოდა ჩვენი პლანეტის არც ერთ ქუთხეში! მთელი ჩვენი ჯგუფი ჩხეიძის ბინაში დასახლდა. თავდაპირველად გვეგონა, მასპინძელს სანანებლად გაუხდებოდა თავისი სიტყვები, როცა ნახავდა ჩვენი კინემატოგრაფიული მოღვაწეობის შედეგს. ჩვენდა გასაოცრად (და გასახარად!), მალე გამოირკვა, რომ ჩხეიძეს კარგად ჰქონდა ყოველივე წარმოდგენილი, და როცა მის სახლში ყველაფერი თავდავირა დავაყენეთ, ის მაინც კეთილად იღიმებოდა...

მსგავს სტუმართმოყვარეობას ქვეყანაც შეუძლია გახეთქოს, მე კი, უბრალოდ, ადამიანი ვარ... აბა, როგორ უნდა ვუპასუხო ყოველივე ამას? როგორ გადავიხადო მადლობა? და გადავწყვიტე: ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღია იქნება არა მარტო ჩემი მეგობარი კონსტანტინე ჩხეიძისათვის, არამედ ყველა ქართველისათვის...

ლუდმილა ჩურსინა, კინომსახიობი — თბილისი ჩემი ბავშვობის ქალაქია. აქ ვიზრდებოდი ექვსიდან თითხმეტ წლამდე. აქ გავატარე ყველაზე ბედნიერი და უღრუბლო პერიოდი ჩემი ცხოვრებისა. მაშინ 26 კომისრის რაიონში ვცხოვრობდი. 8 წელიწადს დავდიოდი ამ სიკეთის ქალაქის ქუჩებში, ვსწავლობდი სკოლაში, ვისვენებდი პიონერთა ბანაკებში.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს გვინდა მოვუთხროთ იმ დიდ წარმატებაზე, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკებმა რომ მოიპოვეს ამ ფესტივალზე. საკონკურსოდ წარდგენილი იყო ორი ქართული მხატვრული ფილმი — შოთა და ნოდარ მანაგაძეების „წუთისოფელი“ და თენგიზ აბულაძის „ყვლასბამი ჩემი სატრფოსათვის“.

ფილმი „წუთისოფელი“ მოგვითხრობს ერთი ჩვეულებრივი ქალის, მეუღლისა და დედის ცხოვრებაზე. უჩვეულო და განსაკუთრებული თითქოს არაფერია — იყო ახალგაზრდა, უყვარდა, დაოჯახდა, წვრილშვილის დედა გახდა. ამ წუთისოფელმა ყველაფერი გამოიმეტა მისთვის, არც ტანჯვა-წამება და სიდუხჭირე დაკლო, არც სიყრმის შვილის სიკვდილი და, რა თქმა უნდა, შვილებისა და შვილიშვილების ხიხარულიც განაცდევინა. რევოლუციამდელი სოფლის სიდუხჭირე, სამოქალაქო ომი, მეორე მსოფლიო ომი — ყველაფერი ეს საკუთარი თვალით ნახა და განიცადა. და მაინც ვერ გატეხა წუთისოფლის სიავემ ეს ქალი. სულის მხნეობა, კეთილშობილება სიდონიამ ბოლომდე შეინარჩუნა.

ამ ფილმის სცენარმა, რომელიც სულიკო ჟღენტს ეკუთვნის, ჯერ კიდევ დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო კონკურსზე მოიპოვა პირველი პრემია. ამ ფესტივალზე სულიკო ჟღენტს მიენიჭა დიპლომი და პრემია საუკეთესო სცენარისათვის, ხოლო თვით სურათმა მოიპოვა პრიზი და პრემია, როგორც თანამედროვე საბჭოთა ადამიანზე შექმნილმა საუკეთესო კინონაწარმოებმა. დიპლომები და პირველი პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიეკუთვნა ფილმის მთავარი როლის — სიდონიას შემსრულებელს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს სოფიკო ჭიაურელს.

თენგიზ აბულაძის ფილმში არის გეპიზოდი: ორი მთავარი გმირი ერთმანეთს ხელს ართმევს. მათი წინაპრები წლების მანძილზე მტრობდნენ ერთმანეთს. მიზეზი მტრობისა? ვერ შეთანხმდნენ, რაზე იდგა დედამიწა — კუს ჯავშანზე თუ თეთრი ხარის რქაზე. აულის უხუცესი, რომელმაც შეაერთა ამ ორი გმირის ხელები, ეკითხება ახალგაზრდებს: „ვრძნობთ სითბოს? იცით კი, რა სითბოა? სწორედ ის, რომელზეც დგას მთელი დედამიწა“.

ამ ადამიანურ სითბოზეა დაწერილი დაღესტნელი მწერლის აბუბაქარის ნოველა, რომელიც თენგიზ აბულაძემ საფუძვლად დაუდო თავის ფილმს — „ყვლასბამი ჩემი სატრფოსათვის“. რეჟისორმა და შემოქმედებითმა კოლექტივმა შექმნეს საინტერესო, მხიარული და ამავე დროს ღრმად ფილოსოფიური ფილმი. თენგიზ აბულაძეს კინოკომედიის ჟანრის დამშვენებაში შეტანილი წვლილისათვის დიპლომი და პრემია მიენიჭა.

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია ფესტივალზე ორი ფილმით იყო წარმოდგენილი: „მემაღლიევები“ და „ოქროს საწმისი“. პირველს პირველი პრემია და პრიზი მიენიჭა, მეორეს — მეორე პრემია და პრიზი.

სხვაც ბევრი დარიგდა პრიზი და პრემია. საბჭოთა ხალხების კინოს ძმური ოჯახის ყველა წევრს თავისი წილი მიუზღეს.

ფესტივალის საზეიმო დახურვაზე, რომელიც 29 თებერვალს გაიმართა, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, მეხუთე სრულიად საკავშირო კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ვლადიმერ გოლოვნიამ ილაპარაკა იმ დიდ წვლილზე, რომელიც წლევანდელმა კინოფორუმმა შეიტანა საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების საქმეში.

ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა და წარმატება უსურვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვიქტორია სირაძემ.

მეხუთე სრულიად საკავშირო კინოფესტივალის საზეიმო დახურვას ესწრებოდნენ: მიხეილ გოგიჩაიშვილი, ოთარ ლოლაშვილი, ნიკოლოზ ცხაკაია, შოთა ბანუშვაძე, გივი ჯავახიშვილი, როინ მეტრეველი, თეიმურაზ მოსაშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი.

მომავალ შეხვედრამდე, საბჭოთა კინოს დიდოსტატებო!

ოთარ კოტერიძე

რეზო ქემოშუკელი,
საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

საქართველოს კომკავშირს

თმა შეიცვრცხლა,
დამწყაზარდა სიტყვა ფრთოსანი,
ის აღტაცება,
სიყვარული განა შორს არი?...
გულზე ბრდღვიალა მზე ფათქუნებს
მიმინოსავით,
— ისევ გიკოცნი დროშის კალთას
შენი მგოსანი!...

ახალგაზრდობა შემობრუნდა
ბუმერანგივით,
ისევ მეძახის თეთრ ტაძარში
შენი ყრილობა!...
მინდა ბავშვივით გადავიხსნა
გულზე პურანგი
და დაგანახო
სიყვარულის ცხელი ჭრილობა!

მე შენი ძუძუს
ხსენი ისევ ძარღვში დამიდის,
ვარ კალატოზი
შენი ძეგლის და პირამიდის,
მე სულით ჩემი
გადავხურე შენი კრამიტით,
ავივსე შენი ატმის კვირტით,
შენი ამინდით!...

შენი სიმღერით,
შენი რწმენით,
შენი წარსულით,
ცისკენ წასულით
მარადიულ თეთრი ასულით,
შენი წვალებით,
გამარჯვებით ფანტასტიურით,
შენი ბორისით,
კოშეევით,
შენი იურით!..

ვიგონებ დღეებს
ცისფერ სხივში გადარხეულებს,
— იყავი მუდამ
აღმავალი სხივით მშოსავი!..
მე შენი სიბრძნე
მინათებდა ფერმკრთალ რვეულებს,
შენ იყავ ჩემი ჭაშნაგირიც,
გზის დამლოცავიც!...

თმა შეიცვრცხლა,
გული დაცხრა,
— ალბათ დროც არი!...
მაგრამ ის ცეცხლი სიყვარულის
განა შორს არი?!
გულზე ბრდღვიალა მზე ფათქუნებს
მიმინოსავით,
და ეკოცნი შენი დროშის კალთას
შენი მგოსანი!...

ქართული ფილმები საკავშირო კინოფესტივალზე

დრდა ტრადიცია — ორ წელიწადში ერთხელ გაიმართოს საკავშირო კინოფესტივალი.

მეხუთე თბილისური 22 თებერვალს დაიწყო. თბილისის ფილარმონიის ხალხით სავსე დიდ დარბაზში გაისმა ფესტივალის მელოდია და მსახიობებმა — ლეილა აბაშიძემ, ლუდმილა ჩურსინამ, გუნარ ცილისკისმა და ამ სტრიქონების ავტორმა ფესტივალის აღამი აღვმართეთ. დაიწყო კინოფესტივალი, რომელიც გადაიქცა საბჭოთა კინოს ოსტატთა შარშანდელი ნაამაგარის დემონსტრაციად.

ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს დიდხანს ესსომებათ საქართველოში გატარებული დღეები. მოვუსმინოთ ზოგიერთ მათგანს:

ოლიგერტს დუნპერსს, ლატვიელი რეჟისორი — მინდა გიამბოთ, როგორ შევიძინე ნამდვილი მეგობარი თბილისში...

ვმუშაობდი ახალ ფილმზე, რომლის ნაწილი საქართველოში უნდა გადაგვეღო და აი, ჩამოვედი თბილისში, რათა დაგვესრულებინა ჩვენი სამუშაოს „ქართული ნაწილი“. აუცილებლად გვჭირდებოდა სახლის დეკორაცია და არქიტექტორ კონსტანტინე ჩხეიძეს მივმართე. ჩემმა ახალმა ნაცნობმა ყურადღებით მომისმინა, შერე გაოცებით გაშალა ხელები: „კი მაგრამ, რად გინდათ დეკორაცია? მე მაქვს თქვენთვის საჭირო სახლი. წავიდეთ ჩვენთან“. მოხდა ისეთი რამ, რაც ალბათ არ მოხდებოდა ჩვენი პლანეტის არც ერთ ქუთხეში! მთელი ჩვენი ჯგუფი ჩხეიძის ბინაში დასახლდა. თავდაპირველად გვეგონა, მასპინძელს სანანებლად გაუხდებოდა თავისი სიტყვები, როცა ნახავდა ჩვენი კინემატოგრაფიული მოღვაწეობის შედეგს. ჩვენდა გასაოცრად (და გასახარად!), მალე გამოირკვა, რომ ჩხეიძეს კარგად ჰქონდა ყოველივე წარმოდგენილი, და როცა მის სახლში ყველაფერი თავდავირა დავაყენეთ, ის მაინც კეთილად იღიმებოდა...

მსგავს სტუმართმოყვარეობას ქვეყანაც კი შეუძლია გახეთქოს, მე კი, უბრალოდ, ადამიანი ვარ... აბა, როგორ უნდა ვუპასუხო ყოველივე ამას? როგორ გადავიხადო მადლობა? და გადავწყვიტე: ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღია იქნება არა მარტო ჩემი მეგობარი კონსტანტინე ჩხეიძისათვის, არამედ ყველა ქართველისათვის...

ლუდმილა ჩურსინა, კინომსახიობი — თბილისი ჩემი ბავშვობის ქალაქია. აქ ვიზრდებოდი ექვსიდან თითხმეტ წლამდე. აქ გავატარე ყველაზე ბედნიერი და უღრუბლო პერიოდი ჩემი ცხოვრებისა. მაშინ 26 კომისრის რაიონში ვცხოვრობდი. 8 წელიწადს დავდიოდი ამ სიკეთის ქალაქის ქუჩებში, ვსწავლობდი სკოლაში, ვისვენებდი პიონერთა ბანაკებში.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს გვინდა მოვუთხროთ იმ დიდ წარმატებაზე, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკებმა რომ მოიპოვეს ამ ფესტივალზე. საკონკურსოდ წარდგენილი იყო ორი ქართული მხატვრული ფილმი — შოთა და ნოდარ მანაგაძეების „წუთისოფელი“ და თენგიზ აბულაძის „ყვლასბამი ჩემი სატრფოსათვის“.

ფილმი „წუთისოფელი“ მოგვითხრობს ერთი ჩვეულებრივი ქალის, მეუღლისა და დედის ცხოვრებაზე. უჩვეულო და განსაკუთრებული თითქოს არაფერია — იყო ახალგაზრდა, უყვარდა, დაოჯახდა, წვრილშვილის დედა გახდა. ამ წუთისოფელმა ყველაფერი გამოიმეტა მისთვის, არც ტანჯვა-წამება და სიდუხჭირე დაკლო, არც სიყრმის შვილის სიკვდილი და, რა თქმა უნდა, შვილებისა და შვილიშვილების ხიხარულიც განაცდევინა. რევოლუციამდელი სოფლის სიდუხჭირე, სამოქალაქო ომი, მეორე მსოფლიო ომი — ყველაფერი ეს საკუთარი თვალით ნახა და განიცადა. და მაინც ვერ გატეხა წუთისოფლის სიავემ ეს ქალი. სულის მხნეობა, კეთილშობილება სიდონიამ ბოლომდე შეინარჩუნა.

ამ ფილმის სცენარმა, რომელიც სულიკო ჟღენტს ეკუთვნის, ჯერ კიდევ დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო კონკურსზე მოიპოვა პირველი პრემია. ამ ფესტივალზე სულიკო ჟღენტს მიენიჭა დიპლომი და პრემია საუკეთესო სცენარისათვის, ხოლო თვით სურათმა მოიპოვა პრიზი და პრემია, როგორც თანამედროვე საბჭოთა ადამიანზე შექმნილმა საუკეთესო კინონაწარმოებმა. დიპლომები და პირველი პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიეკუთვნა ფილმის მთავარი როლის — სიდონიას შემსრულებელს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს სოფიკო ჭიაურელს.

თენგიზ აბულაძის ფილმში არის გეპიზოდი: ორი მთავარი გმირი ერთმანეთს ხელს ართმევს. მათი წინაპრები წლების მანძილზე მტრობდნენ ერთმანეთს. მიზეზი მტრობისა? ვერ შეთანხმდნენ, რაზე იდგა დედამიწა — კუს ჯავშანზე თუ თეთრი ხარის რქაზე. აულის უხუცესი, რომელმაც შეაერთა ამ ორი გმირის ხელები, ეკითხება ახალგაზრდებს: „ვრძნობთ სითბოს? იცით კი, რა სითბოა? სწორედ ის, რომელზეც დგას მთელი დედამიწა“.

ამ ადამიანურ სითბოზეა დაწერილი დაღესტნელი მწერლის აბუბაქარის ნოველა, რომელიც თენგიზ აბულაძემ საფუძვლად დაუდო თავის ფილმს — „ყვლასბამი ჩემი სატრფოსათვის“. რეჟისორმა და შემოქმედებითმა კოლექტივმა შექმნეს საინტერესო, მხიარული და ამავე დროს ღრმად ფილოსოფიური ფილმი. თენგიზ აბულაძეს კინოკომედიის ჟანრის დამშვენებაში შეტანილი წვლილისათვის დიპლომი და პრემია მიენიჭა.

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია ფესტივალზე ორი ფილმით იყო წარმოდგენილი: „მემაღლიევები“ და „ოქროს საწმისი“. პირველს პირველი პრემია და პრიზი მიენიჭა, მეორეს — მეორე პრემია და პრიზი.

სხვაც ბევრი დარიგდა პრიზი და პრემია. საბჭოთა ხალხების კინოს ძმური ოჯახის ყველა წევრს თავისი წილი მიუზღეს.


ფესტივალის საზეიმო დახურვაზე, რომელიც 29 თებერვალს გაიმართა, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, მეხუთე სრულიად საკავშირო კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ვლადიმერ გოლოვნიამ ილაპარაკა იმ დიდ წვლილზე, რომელიც წლევანდელმა კინოფორუმმა შეიტანა საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების საქმეში.

ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა და წარმატება უსურვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვიქტორია სირაძემ.


მეხუთე სრულიად საკავშირო კინოფესტივალის საზეიმო დახურვას ესწრებოდნენ: მიხეილ გოგიჩაიშვილი, ოთარ ლოლაშვილი, ნიკოლოზ ცხაკაია, შოთა ბანუშვაძე, გივი ჯავახიშვილი, როინ მეტრეველი, თეიმურაზ მოსაშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი.

მომავალ შეხვედრამდე, საბჭოთა კინოს დიდოსტატებო!

ოთარ კოტერიძე



სიყვარულით ეივესალმებით
ერის სასიქადულო
შვილებს
ქალიპ ზურაბაშვილსა და
დიმიტრი მგელაძეს
— იცოცხლეთ დიდხანს!



ინტერვიუ დიდ მეცნიერთან

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსების თარხნიშვილისა და ბეხტერევის პრემიების ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საბჭოთა კავშირის ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოების გამგეობის წევრი, საქართველოს ფსიქიატრთა და ნევროპათოლოგთა საზოგადოების ფსიქიატრიული სექციის თავმჯდომარე, მრავალი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი — აი, არასრული ტიტულები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიხეილ ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის დერექტორის ავლიპ ზურაბაშვილისა.

ავლიპ ზურაბაშვილის მთელი ცხოვრება, შრომა, ადამიანური თვისებები, მაგალითია ახალგაზრდობისათვის. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იგი ებრძვის დიდი ხნის მანძილზე უკურნებელ სენად მიჩნეულ დაავადებას — სულით ავადმყოფობას. დაახევინოს უკან ამ საშინელ სენს — აი, პრობლემა, რომელზეც მუშაობდა და მუშაობს მეცნიერი, რომელიც დღეს თავისი დაბადების შვიდ ათეულ წელიწადს ითვლის.

ბატონი ავლიპი 15 თებერვალს გახდა 70 წლისა. გაზეთი „სამშობლო“ დიდი მოწიწებით ულოცავს მას დაბადების დღეს, თავის მკითხველებს კი აკადემიკოსთან საუბარს სთავაზობს.

გთავაზობთ საუბარს ავლიპ ზურაბაშვილთან.

● ბატონო ავლიპ, როდის და ვინ შეგაყვარათ შრომა?

— ჩემს ზურგს უკან სამოცდაათი წელიწადია. ვიზრდებოდი მშრომელ ოჯახში, სადაც საშუალება მქონდა თვალნათლივ მეგრძნო შრომის მადელი, რაც დღემდე მომდევს. ამიტომ უპირველესი ღვაწლი ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში ჩემს მშობლებს მიუძღვით. დიდი როლი შეასრულეს ჩემმა მასწავლებლებმაც.

● გვაინტერესებს თქვენი აზრი კიბერნეტიკისა და ფსიქიატრიის თანამშრომლობის შესახებ.

— განათლებით მათემატიკოსი გახლავართ და ამიტომ კიბერნეტიკის შეჭრა მედიცინასა და, კერძოდ, ფსიქიატრიაში ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა. რამდენიმე წლის წინათ საქართველოში პირველად წაიკითხე ფართო საზოგადოების წინაშე საჯარო მოხსენება: „ტვინი და კიბერნეტიკა“. დავსტამბე კორსაკოვის სახელობის ჟურნალში სტატია „მეცნიერული ფსიქიატრია და მეცნიერული კიბერნეტიკა“.

როგორც ადამიანის ტვინის დარგში მომუშავე ნეირომორფოლოგი-კლინიცისტი და ექიმი-ფსიქიატრი, ვიტყოდი, რომ ფსიქონევროლოგიის დარგში დიდი შესაძლებლობანი და პერსპექტივები აქვთ კიბერნეტიკულ მოდელებსა და, საერთოდ, მათემატიკურ აზროვნებას.

● რას გვეტყვით თქვენი პირველი მეცნიერული მოღწევებისა და დღევანდელი საქმიანობის შესახებ?

— პირველი მეცნიერული რეზონანსი წილად ხვდა ჩემს პირველ შრომებს, რომლებიც ეხებოდა ტვინის ნატიფ აღნაგობას, ციტო და პათოციტო არქიტექტონიკას. ამ ნაშრომებს საფუძველი ჩაეყარა ლენინგრადში, ბეხტერევის ლაბორატორიაში. თბილისში დაბრუნების შემდეგ გავაღრმავე მუშაობა იმავე დარგში და შემოვიღე ახალი უბანი — სინაპსო და პათოსინაპსო არქიტექტონიკა. ჩემთვის მეტად საინტერესოა, რომ ამ მიმართულებამ გარკვეული გამოძახილი და ინტერესი მოიპოვა როგორც ჩვენში, ისე საერთო მასშტაბით. დღესდღეობით ჩემი 250-ზე მეტი ნაშრომი გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომლებშიც წარმოდგენილია მეცნიერული კვლევის 16 უბანი. ხოლო ქართულ ენაზე დასტამბულია 600-ზე მეტი პოპულარული წერილი, რეცენზია და წინასიტყვაობა. ჩემი მრავალმხრივი ინტერესი შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ მე აკადემიკოს ბეხტერევის მოწაფე და მიმდევარი ვარ.

ყველა სამუშაო უბანი ჩემი მეცნიერული შემოქმედების მღელვარების საგანია. ისინი მჭირდება იმისათვის, რომ ჩემს მრავალრიცხოვან მოწაფეებთან ერთად დეტალურად გავერკვე ადამიანის ტვინის არსში, მის სულიერ ანუ ფსიქიკურ აპარატში და გამოვძებნო გზები, რათა დავეხმარო იმ ავადმყოფს, რომელსაც დაუკარგავს ყველაზე დიდი საუნჯე — სულიერი ჯანმრთელობა.

● რა ძირითად პრინციპებს უნდა ემყარებოდეს მომავალი თაობის აღზრდა და ჩამოყალიბება?

— ახალმა თაობამ არ უნდა დაკარგოს ძველი თაობის ტრადიციები. ადამიანი ისეთი კატეგორიაა, რომელსაც აქვს ისტორია და რომელმაც უნდა იფიქროს მომავალზე, ამიტომ ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტი ახალგაზრდა კარგად უნდა იცნობდეს თავისი ერის წარსულსა და აწმყოს.

ადამიანი ისეთი კატეგორიაა, რომლის შემოქმედება და შრომა მარტო მისი კუთვნილება კი არ არის, არამედ საზოგადოებრივია. ამ მხრივ, ადამიანის შრომა უკვდავია და შრომის ნაყოფი, სულიერი თუ ნივთიერი, მომავალ თაობას ეკუთვნის.

● ვინ იყო თქვენი იდეალი ახალგაზრდობაში და მოგყვათ თუ არა იგი დღემდე?

— ვცდილობდი მომესმინა და მიმებაძა დიდი პიროვნებებისათვის. ეს გახლდათ მოსე ჯანაშვილი, რომელმაც მომხიბლა თავისი პატრიოტიზმით, ჰუმანურობითა და მოქალაქეობრივი გრძნობით. ვეთაყვანები დიდ ივანე ჯავახიშვილს — მის მოღვაწეობას, ნათელ შუბლსა და უკვდავ ქართულ გულს. ჩემი მეხსიერებიდან წარუშლელია სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის, მისი პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის ფორმულა: ერთგულება, სიყვარული და პატივისცემა.

● მეცნიერების ერთი ნაწილი კაცობრიობას მომავალში ჟანგბადისა და წყლის უკმარობას უწინასწარმეტყველებს.

— ეს საკითხი სულაც არ მაღელვებს, რადგან მწამს — ადამიანის აზრი და გონება მას გაუმკლავდება.

● ბატონო ავლიპ, რა აზრისა ბრძანდებით ტელეპათიაზე, მესინგის სეანსებზე?

— ეს კითხვა საინტერესოა, ვინაიდან პრესაში არც ისე იშვიათად ვხვდებით ამ საკითხის სპეკულაციურ, ზერელე განხილვას, რაც ფრიად მაღელვებს. მთელი ჩემი არსებით წინააღმდეგი გახლავართ რაიმე ტელეპათიური შესაძლებლობისა და თუ ვინმეს სწამს ეს, უნდა მიეწეროს მის უცოდინარობასა და გაუგებრობას. ადამიანის სულიერი პროცესები არის თვისება ტვინისა და არა ელექტრონული, ფიზიკური დენი. დიდი უბედურება იქნებოდა, რომ ჩვენ ერთმანეთის აზრებს ვკითხულობდეთ!

● 15 თებერვალს თქვენ 70 წლისა შესრულდით და მაინც საოცრად ენერგიულად გამოიყურებით. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— ყველა კაცს აქვს თავისი დარდი, სიხარული, განცდები. ცხადია, ამ მხრივ არც მე ვარ გამონაკლისი. მიუხედავად ასაკისა, ყოველდღიურად 15-16 საათს ვმუშაობ, მაგრამ დაღლა არ ვიცი, თავი არასოდეს ამტკივებია. რა არის ამის მიზეზი?

ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი შრომაში გავატარე. ალკოჰოლსა და თამბაქოს არასდროს ვეძალებოდი. ალაზნის ველზე ბარითა და თოხით, ნამგლითა და ცელით შრომამ გამიკაჟა ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობანი. კიდევ ერთ გარემოებას მინდა გავუსვა ხაზი: ყოველთვის ვშრომობ სიხარულით, ამნაირ შრომას კი დაღლა არ მოსდევს, ეს არის პირველი პირობა ჩემი დღევანდელი სიმხნევისა.

მეორე პირობა გახლავთ ის, რომ არასდროს არავისი არაფერი შურს და ჩემს შემოქმედებით აზრს არათუ ვმალავ, არამედ სიხარულით ვუზიარებ ყველას, რაც აგრეთვე ქმნის დადებითი განცდის სიტუაციას. ცოდნის გადაცემა ადამიანს კი არ აღარიბებს, პირიქით, უფრო ამდიდრებს, ამხნევებს და აღანთებს. გავიხსენოთ დიდი ილიას სიტყვები — „სანთელზე რომ სანთელს ავანთებთ, სინათლე მრავლდება და არ მცირდება“.

მესამე პირობა ის არის, რომ ყველასადმი კეთილად ვარ განწყობილი. მტკიცედ მწამს, რომ მტერი არასოდეს მყოლია და არც მეყოლება.

● და ბოლოს, ბატონო ავლიპ, რას უსურვებთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს?

— სიკეთეს, ჯანმრთელობასა და ყოველივე ადამიანურ ბედნიერებას, ვუსურვებ აგრეთვე, რომ არ დაივიწყონ სამშობლო, უყვარდეთ საქართველო, თავიანთი ერი გონიერი სიტყვითა და დაუღალავი საქმით.

საუბარი ჩაიწერა
ზურაბ ინაშვილმა

რუსული ენის მაძლი

გამოჩენილ ქართველ პედაგოგსა და მეცნიერს, რუსისტთა სკოლის ერთ-ერთ აღიარებულ ფუძემდებელს საქართველოში, პროფესორ დიმიტრი მგელაძეს შეუსრულდა დაბადების 80 წელი. ეცნობი ამ შესანიშნავი ადამიანის საქმიანობასა და მოღვაწეობას, მის მიერ განვლილი ცხოვრების გრძელსა და საინტერესო გზას და ალტაცებაში მოდიხარ, როდესაც ხედავ, რომ დღესაც, მეცხრე ათწლეულში გადამდგარი დიმიტრი მგელაძე კვლავ ჭაბუკური შემართებით კითხულობს ლექციებს, იბარებს სახელმწიფო გამოცდებს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, წარმატებით ასრულებს კათედრის გამგის, სამეცნიერო საბჭოების წევრის რთულსა და საპატიო მოვალეობას.

გაზეთი „სამშობლო“ თავის მკითხველებთან ერთად სულითა და გულით ესალმება ღვაწლმოსილ ადამიანს და კვლავ მრავალი წლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უსურვებს მშობლიური ხალხის სასიხარულოდ.

გთავაზობთ ბატონ დიმიტრი მგელაძის წერილს — „რუსული ენის მაძლი“.

„ჩვენს ხალხს სურს რუსული ენის შესწავლა. სიმართლე უნდა ითქვას, ეს სურვილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სახალხო სკოლა, რომელშიც ადგილი არ ეძნება რუსულ ენას, ვერ შეძლებს სავსებით მოიპოვოს ჩვენი ხალხის სიმპათია“ — წერდა ქართული პედაგოგიური აზროვნების კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი.

ჩვენი ხალხის მისწრაფებას რუსული ენის შესწავლისადმი თავისი ღრმა ისტორიული ფესვები აქვს.

მე-18 საუკუნის დამდეგს მოსკოვში, ნიჟნინოვგოროდში, პეტერბურგთან ახლოს, ვლადიმირში, ასტრახანში, მოზდოკსა და სხვა ქალაქებში შეიქმნა ქართველთა დასახლებანი. ქართველთა და რუსთა შორის დამყარდა აქტიური პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა, რაც თანდათანობით განმტკიცდა და გაფართოვდა. ამ კულტურული კავშირის განმტკიცების ნაყოფია რუსული ენის პირველი სახელმძღვანელო ქართველთათვის, რომელიც ჯერ კიდევ 1739 წელს შეადგინა ქრისტეფორე გურამიშვილმა — „რუსულ-ქართული ანბანი“.

ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს საუკეთესო შვილები სიყვარულითა და მონდომებით ადგენდნენ სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, სასაუბროებს და რუსული ენის შესწავლის სხვა დამხმარე საშუალებებს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ გიორგი ფირალიშვილის «Самоучитель, содержавший в себе грамматику, разговоры, нравоучения, лексикон на российском и грузинском языках» (პეტერბურგი, 1817 წელი), „შეკრებაი რუსულ უბნობათა“ (1820 წელი), «Начальный курс русского языка для групп по практическому методу» გერასიმე კალანდარიშვილისა (თბილისი, 1856 წელი) და სხვა.

მე-18 საუკუნეშივე დაიწყო რუსული მხატვრული საბავშვო ლიტერატურის თარგმნა ქართულ ენაზე. ჯერ კიდევ 1739 წელს ითარგმნა „პროკოპოვიჩი, თეოფანე, პირველი სასწავლო ყრმათა, რომელსა შინა არს ანბანი და დაწყობა ასოთა“... 1842 წლიდან გვაქვს რუსულიდან თარგმნილი პირველი ქართული ნაბეჭდი საბავშვო წიგნი. 1852 წელს გამოდის ივანე კერესელიძის მიერ რუსულიდან თარგმნილი „ყრმათა მეგობარი“.

რუსული ენის შესწავლას განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ინტელიგენციამ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის მეთაურობით. ისინი კარგად ხედავდნენ, რა დიდი სიკეთის მოტანა შეეძლო რუსული ენის ცოდნას ქართველისათვის. ქართველი ერის ეს სულიერი მოძღვარნი თვითონ იყვნენ აღზრდილნი რუსი ხალხის მოწინავე, პროგრესულ ტრადიციებზე, საკუთარ თავზე ჰქონდათ გამოცდილი რუსული განათლების სიკეთე და სწორედ ამიტომ აუცილებლად მიაჩნდათ რუსული ენის ცოდნა, ფართო პროპაგანდას უწევდნენ მას, საზოგადოებას მოუწოდებდნენ შეესწავლა დიდი რუსი ხალხის ენა.

რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებისა და მოსახლეობის კულტურული დონის შემდგომი აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მზარდაჭერას, რასაც არარუსი მოსახლეობის მიმართ იჩენდნენ რუსი ხალხის სასიქადულო შვილები. განაპირა ქვეყნების ხალხების სოციალური დამონებისა და ეროვნული გადაგვარების პოლიტიკას, გულმოდგინედ რომ ნერგავდნენ თვითმპყრობელობის მესვეურნი, ყოველთვის უპირისპირდებოდნენ რუსი ხალხის ჰეშმარიტი ერისკაცნი, მისი იდეოლოგი-რევოლუციური ინტელიგენცია თავისი მოწინავე იდეებითა და კულტურით. სწორედ ამ კულტურის გამო იყო, რომ სამოციანელების თავკაცმა — დიდმა ილიამ ქართველი ერის გასაგონად **საშვილიშვილო სიტყვები** ბრძანა: „რუსულმა სკოლამ — ძკცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებას და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულ ჩვენგანს მის გამონარკვევზე აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა და საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“.

იაკობ გოგებაშვილი, ავტორი „რუსული სიტყვისა“, რომელიც ქართველი ახალგაზრდობის ნიადაგსაბმარი წიგნი გახდა, წინასწარმეტყველურად წერდა: „რუსული ენის ცოდნა დიდი საკუთარ ყველა კავკასიელისათვის, ვინაიდან ძალუძს მათ შესაძლებლობას გახდნენ დიადის სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქენი, ეზიარნენ მდიდარ რუსულ ლიტერატურას, და, როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდნენ თავს უზარმაზარ სამშობლოში“.

ერის სიკეთისათვის ზრუნვაში დაუღალავმა სამოციანელებმა დღის წესრიგში დააყენეს ქართველ ბავშვებს შეესწავლათ რუსული ენა, გასცნობოდნენ რუსული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს. იაკობ გოგებაშვილი ჭეშმარიტად ბრძენურად განსჭვრეტდა: — „რაც შეეხება, კერძოდ, რუსულ ენას. მას ჩვენთვის, ქართველებისათვის, მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სახელმწიფო ენა, რომელიც აუცილებელია რუსეთის ყველა ხალხებისათვის. მეორეც, ეს არის კულტურული ენა, რომლის შემწეობითაც ჩვენ ვითვისებთ ევროპულ განათლებას. რუსული ენა აუცილებლად გახდება ერთ-ერთი მსოფლიო ენა მეასეც, ეს არის იმ ხალხის ენა, რომლის ბედსაც ისტორიამ და ჩვენი ხალხის სურვილმა დაუკავშირა საქართველოს ბედი. ამიტომ რუსული ენა აუცილებლად თან უნდა ახლდეს ქართული ენის სწავლებას როგორც სკოლაში, ისე ოჯახში, და ჩვენ, ქართველები, უნდა შევეცადოთ, რათა სავსებით დავეუფლოთ ამ ენასა და მის ლიტერატურას“.

ქართველებისათვის რუსული ენის ცოდნის უდიდესი მნიშვნელობა ერის კულტურული და ეკონომიური განვითარებისათვის თვით ხალხმა შეიგნო, ხალხმა, რომელიც ამ ენის ცოდნას თავისი კულტურული „მე“-ს ერთ-ერთი აუცილებელ ნაწილად თვლის. ამიტომ არის, რომ ქართველი ხალხი დედაენასთან ერთად პუშკინის ენასაც სწავლობს. ტოლსტოის ენის ცოდნა ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურთიერთობის გაღრმავება-გაფართოებას. დიდი ლენინის ენა საერთაშორისო ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, იგი ხელს უწყობს საბჭოთა საზოგადოების შედუღაბებას, რუსული ენის დახმარებით ვიძენთ ცოდნას ადამიანთა საქმიანობის სულ სხვადასხვა სფეროდან.

საბჭოთა კავშირის ყველა ადამიანისათვის რუსული ენა არის მეგობრობისა და ძმური შემოქმედების ენა. ამ ენაზე ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ხალხები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთი კულტურის საგანძურს.

რუსულ ენას ფართოდ სწავლობენ სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში, დიდ ინტერესს იჩენენ მისადმი კაპიტალისტური ქვეყნებიც. ბევრმა ცნობილმა თუ უბრალო ადამიანმა სპეციალურად შეისწავლა რუსული ენა, რათა დედანში წაეკითხა რუსი კლასიკოსების — ტოლსტოისა და დოსტოევსკის, გორკისა და გოგოლის, პუშკინისა და ლერმონტოვის, ჩეხოვისა და კუპრინის, კრილოვისა და ჩერნიშევსკის, ბლოკისა და ესენინის, შოლოხოვისა და ლეონოვის, ფადეევისა და სიმონოვის და სხვათა ქმნილებანი.

ახლა იაკობ გოგებაშვილის წინასწარმეტყველება: რუსული ენა, რომლის სილამაზესა და მოქნილობას აღტაცებაში მოუყვანია სპეციალისტი თუ უბრალო მსმენელი, რომლის კლასიკურ ლიტერატურას თავისი ღრმა შინაარსით დაუმსახურებია ყოველმხრივი აღიარება. დღეს ერთ-ერთი მსოფლიო ენაა, ძმობის, ერთობის, თანასწორობის ენაა.

დიმიტრი მგელაძე,
პროფესორი



დაე, მარად იყოს დედა!

ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს მსოფლიოს უველა კეთილი ნების ქალს ულოცავს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია სირაძე

ქალი ჩვენი პლანეტის ცხოვრების განუყრელი მონაწილეა, დიადი ძალაა თანასწორუფლებიანობის, მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

სოციალიზმის ქვეყნებში, სადაც თანასწორუფლებიანობა კანონითა და არსებული სოციალური პირობებით არის გარანტირებული, ქალის ცხოვრების გზა ნათელი და წარმტაცია.

ქალი დედა — მშობელია კაცობრიობისა, სათავეა სიცოცხლისა, სილამაზისა, უმთავრესი საწყისია სიკეთისა.

ქართველი ქალის დღევანდელი ბედ-იღბალი თვალსაჩინო გამოხატულებაა იმ უდიდესი გარდაქმნებისა, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდა ოქტომბრის რევოლუციიდან დღემდე. ქალთა საკითხის გადაწყვეტაში რევოლუციის ისტორიული მისიის შესახებ დიდი ლენინი ამბობდა, ჩვენ გვაქვს სრული უფლება ვიამაყოთ იმით, რაც ამ დარგში გაკეთდაო. ამ სიტყვების მჭერმეტყველური ილუსტრაციაა საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში ქართველ ქალთა მზარდი როლი, რომელთა ხვედრი რევოლუციამდე სოციალური და მორალური ჩაგვრა იყო.

ქართველის დედაო, ძუძუ ქართველისა! შენ ცალი ხელით აკვანს არწევდი და ცალ ხელში ხმალი გეჭირა მომხვდურთა შესამუსრავად, შენ ლამაზ ქართულ კაბას ჯავშნის პერანგით ცვლიდი, ცხენზე ამხედრდებოდი და მტერს კაფავდი, ცხრა ვაუკაცს უზრდიდი სამშობლოს, ცრემლს მალავდი, როცა გიტაცებდნენ და გყიდდნენ, შენ სამეფო ტახტზეც იჯექ და გონივრულად მართავდი ქვეყანას, ზეპირად სწავლობდი შოთას, გურამიშვილს, საბას და უნახავდი ოქროს აზრებს თაობიდან თაობას, ბარიკადებზე იდექ რევოლუციის ქარცეცხლში, ქმრების, შვილების, ძმების, მამათა გვერდით ღვრიდი სისხლს თავისუფლებისათვის. შენი ხმა შეუერთე კლარა ცეტკინის, როზა ლუქსემბურგის მოწოდებას და გაიმარჯვე რევოლუციის გამარჯვებასთან ერთად. შენც დაიწყე ახალი, ბედნიერი ცხოვრება, შენც აშენე სოციალიზმი, შენც დაჯექი თვითმფრინავის, გემის, ტრაქტორის, ტანკის საჭესთან, დადექ ჩარხთან, დაეუფლე მეცნიერების მრავალ დარგს, ტექნიკას. სწავლობ, შრომობ, ქსოვ, კერავ, ხატავ, იღვწი, ქმნი, ჭედავ შენი შვილების ბედნიერ მომავალს საბჭოთის ერთიან, ძმურ ოჯახში და იბრძვი, საკუთარ ხმას უერთებ მსოფლიოს დედებს მშვიდობისათვის, ერთა მეგობრობისათვის, თესავ სიკეთეს!

შენ თვალს ადევნებ მსოფლიოს ქალთა ცხოვრების დღიურს, გაღელვებს ვიეტნამის ტრაგედია, ისრაელის აგრესიით ლტოლვილ არაბთა ბედი, თანაუგრძნობ ადამიანური უფლებებისათვის მებრძოლ ხალხებს აფრიკაში, აზიაში, სამხრეთ ამერიკაში. ცრემლს ღვრი უველა დედის შვილთა დაღვრილი სისხლისათვის. მერე რა, რომ ფერით, ჩაცმულობით, ჩვეულებით განვსხვავდებით ერთმანეთისაგან! ჩვენ, დედები ერთ, სამშვიდობო ენაზე ვლაპარაკობთ, გვაერთიანებს თავისუფლების, ბედნიერების, სიცოცხლის გადარჩენის სურვილი. ერთი გვაქვს მრწამსი: შევინარჩუნოთ მშვიდობა შინ და მშვიდობა გარეთ!

მშვიდობა იყო, არის და იქნება დედათა ნება აწ და მარადის!

შენ უძლეველი ხარ, დედავ! შენ იყავი უანა დ' არკი და ზოია, შენ იყავი პატარა ანა ფრანკი და ზასულიჩი, მარია კიური და ვივიენ ლი, შენ იყავი ჯამილა და ედიტ პიაფი... შენა ხარ კრუპსკაია, კალანტაი, ტერეშკოვა და გაფრინდაშვილი, გერტა კუუსინენი და ლეგენდარული ვიეტნამელი გმირი გოგონა ანხ ტუ...

შენ გილოცავ ამ დღეს, ქალთა საერთაშორისო დღეს, საბჭოთა საქართველოს ქალების სახელით გილოცავ ზანგო და იაპონელო, ცრანგო და არაბო, ამერიკელო და ავსტრალიელო ქალო! თესე სიკეთე და მეგობრობა, შენს ნანას ჩააქსოვე კეთილი საქმე, დედის რძეს გაატანე შვილთათვის სხვათა სიყვარული და შთაგონება მშვიდობისა, ერთგულება ადამიანისა, რწმენა თავისუფლებისა, ერთა ურთიერთგაგებისა. შთაუნერგე შენს გაზრდილ შვილს, ნუ ჩააცვამს სხვის დედას შავს და არც შენ შეიმოსები ძაძით, ნუ დააობლებს სხვის შვილებს და არც თვითონ დაობლდები!

ჩვენო თანამემამულე ქალებო, გილოცავთ 8 მარტს, ჯანმრთელობას, დედურ სიკეთეს გისურვებთ. თბილისს დაჰყურებს ძეგლი ქართველი ქალისა — სიმბოლო სტუმართმოყვარეობისა, მეგობრობისა და სიყვარულისა. საბჭოთა საქართველოს ქალები თამარის, ქეთევანის, წუნეთელისა და წავკისელის, სანათასა და ლელას მემკვიდრეები, სახელოვანი შვილები - არიან, იცავენ ძველ, საამაყო ტრადიციებს, ქმნიან ახალ, კიდევ უფრო ლამაზ ცხოვრებას, ოჯახსაც უვლიან და სახელმწიფო მოღვაწენიც არიან, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც შეაქვთ თავიანთი წვლილი, შრომის გმირებიც არიან და ბრძოლისაც. ბევრია მათ შორის საბჭოთა პარლამენტის წევრი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკი, ხელოვანი, მწერალი, ინჟინერი, პედაგოგი, ექიმი, სპორტსმენი. და დოვლათი იქმნება მათი შრომით. ციფრებს თავს დავანებებ და ჭარხული ჩაი, თამბაქო, ხილი, ღვინოები, ესოდენ რომ მოსწონთ მთელ დუნიაზე, მათი სათუთი ხელების გარჯის ნაყოფიც არის. ჯადოსნური ბორჯომის წყალი მათი ხელებით ისხმება და უკვდავების სასმელად ერგება უველას. ქალის, დედის სითბოს, სიყვარულს ატანენ ისინი უოველ წვეთს, უველაფერს, მათ მიერ დათესილსა და მომკილს. შრომობენ შინ და გარეთ, ეამაყებათ, რომ კომუნიზმის მშენებელთა თაობას ზრდიან.

დაე, ქვეყნად უველგან ისმოდეს სიყვარულის, მშვიდობის ნანა. ქვეყნად ნურც ერთ ქალს ნუ მოჰკლებოდეს რწმენა მზისა და დედის მარადისობისა, ბედშემარტების გზას რომ უნათებენ ჩვენს შვილებს კაცობრიობის დიადი მომავლისაკენ!

სურათზე: ვიქტორია სირაძე შვილებთან გია და რუსუდანთან ერთად.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

ქალი ქართული კულტურის სამსახურში

საქართველოს ყოფისა და ისტორიის მემატიანე ეჭვთიმე თაყაიშვილი წერდა: „ქალის განსაკუთრებული როლი ქართულ ისტორიაში ცნობილია. ქალი იყო ქართული ოჯახის ბურჯი, სიმტკიცე და საფუძველი სახელმწიფოსი. ქართველი ქალის ხელთ იყო არა მარტო სამეურნეო ნაწილი ოჯახისა, არამედ უმთავრესად შვილების აღზრდა, წერა-კითხვის სწავლება, ქართულ ზნეთა და რწმენათა ჩანერგვა, ქართველი ქალი უზრდიდა საქართველოს ღირსეულ შვილებს. არანაკლები იყო ქართველი ქალის როლი პოლიტიკაშიც, სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი უოველთვის ქალი იყო“.

დიახ, ქალის პატივისცემა ქართველ კაცს საუკუნეების სიღრმიდან მოჰყვება და ამიტომ არის, დედის წმიდათაწმიდა სახელი რომ ვუწოდეთ მიწას, ქვეყნის უპირველეს ქალაქს, სახლის ბურჯად გამდგარ ბოძს..

ქალის თაყვანისცემა ჯერ კიდევ წარმართულ საქართველოში ჩანს, — ჩვენს მითოლოგიაში ქალი მზეა და მამაკაცი — მთვარე. ქართველთა გაქრისტიანებაც ხომ ქალის სახელთან არის დაკავშირებული. ქართლი ნინო კაბადოკიელმა მოაქციაო, — გვამცნობს ჩვენი ერის ისტორიკოსი და იქვე დასძენს, ამ საქმის დიდი მოამაგე მირიან მეფის მეუღლე ნანა დედოფალი გახლდათო...

ქართველი ქალის სიძლიერემ ოჯახსა და სახელმწიფო საქმიანობაში შექმნა საფუძველი, რომ XII საუკუნის საქართველოში თამარს ემეფა, ხოლო სწორუპოვარ რუსთაველს უბრწყინვალესი, უსაბეტაკესი ქალების ლიტერატურული სახეები შეექმნა.

დედას, ქართველ ქალს მრავალი თბილი სტრიქონი მიუძღვნეს არქაჭველო ლამბერტმა, მიხეილ თამარაშვილმა, მარი ბროსემ, ნიკო მარმა, ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ..

დღეს მოკრძალებითა და პატივისცემით ვახსენებთ იმ მოძმე ხალხთა ქალებს, რომლებიც ჩვენი ერის კულტურის სამსახურში ჩამდგარან. აი რამდენიმე მათგანი.

წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ქართულ საქმეს ემსახურება **რუსუდან ორბელი**, მან გამოსცა მეტად სასარგებლო წიგნი ქართულ ხელნაწერებზე.

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბჭოთა ხალხების ენებზე არსებული ლიტერატურის განყოფილებაში მუშაობენ **ნინო იგნატაშვილი და ლუდმილა შეკელიოვა.** ქალბატონი ლუდმილა ლენინგრადის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე კითხულობს ქართული ლიტერატურის კურსს, მანვე კრებულში — „ლენინი საბჭოთა პოეზიაში“ — შეიტანა ბელადისადმი მიძღვნილი ქართველ პოეტთა თითქმის უველა ლექსი.

იგნატაშვილი და შეპელიოვა ხშირად აქვეყნებენ ქართული ლიტერატურისადმი მიძღვნილ ნარკვევებს, კონსულტაციებს უწევენ ჩვენი ერის წარსულით, აწმყოთი და მომავლით დაინტერესებულ ადამიანებს. ამ ორმა ქალმა მარტო 1967 წელს ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველებს 15 ათასი ქართული წიგნი, უურნალი და გაზეთი მიაწოდა.

დღესასწაულს განსაკუთრებული სიყვარულით ვულოცავთ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველოლოგ ქალებს, ჩვენი თანამემამულის კიტა ჩხენკელის (1895-1963) მოწაფეებს — **იოლანდა მარშევს, რუთ ნოიკომასა და ლეა ფლურს.** სწორედ მათი დამსახურებაა, რომ შვეიცარიაში გრძელდება კიტა ჩხენკელის წამოწყებული საშვილიშვილო საქმე — ქართულ-გერმანული დიდი ლექსიკონის მომზადება-გამოცემა.

პროფესორი იოლანდა მარშევი ციურიხის უნივერსიტეტში კითხულობს ქართული ენის კურსს, ქალბატონმა რუთ ნოიკომმა კი 1970 წელს გამოაქვეყნა მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან გოთუასა და გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობები გერმანულ ენაზე.

და ბოლოს, ქალთა დიდ დღესასწაულს ვულოცავთ იმ უცხოელ ქალებს, რომლებიც ქართველ მეუღლეებთან ერთად ერს სასიქადულო შვილებს უზრდიან.

8 მარტი ქალთა დღეა და მილოცავც უველა მანდილოსანს ეკუთვნის, მათ სადიდებელ ჰიმნს ჩვენთან ერთად ხომ დედამიწა, დედაენა, დედაქალაქი და დედაბოძიც ამბობს.

იოსებ მეგრელიძე,
პროფესორი.

გიორგი წერეთელი

დედა

როცა ვინმე
წარბშეკრული გვიწყრება,
დედა გვიცავს,
დედა გვიდგას თავდებად,
ყოველი გზა
დედის კალთით იწყება,
ყოველი გზა
დედის გულთან თავდება.
დედა შინ და
დედა გარეთ...
დედა ჩათვლემს საჩეჩელთან,
აღარ ახსოვს, სად დაიწყო,
აღარ ახსოვს, სად შეჩერდა.
ბოსტნის კვლებს და
ვაზებს უვლის,
აცხობს, ხარშავს, რეცხავს, კერავს...
გარეთ დადის ვეფხვის გულით,
ჩიტის გულით უშის კერას.
დედა შინ და დედა გარეთ...
დედა ყველგან არის მართლა.
აკვანს თავზე დაჰკანკალებს,
ქარს უფარებს კაბის კალთას.
ცალი ხელით ჩვილი მიჰყავს,
ცალი ხელით კრეფს და არჩევს,
დედა უფრო მისთვის გვიყვარს —
ნატკენს ჩვენსას კოცნით არჩენს.
დედა შინ და დედა გარეთ, —
ბრმაც რომ იყოს, გულით გვხედავს...
ლხინში ჩვენთან დანარნარებს,
გასაჭირშიც ვუხმობთ დედას.
რომ გავიდეს ასი წელიც —
დედისთვის ვართ მაინც ბავშვი,
თურმე ენით როცა გვწყევლის,
ძუძუებით გვლოცავს მაშინ!
დედა შვილებს გვიდგას გვერდით
დედამ იცის მუნჯის ენა,
დედა არის ქვეყნად ერთი
და ვერავინ შეცვლის დედას!

მუშა, დეპუტატი, დედა...

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში მიღწეული წარმატებებისა და თბილისის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 197± წლის 25 თებერვლის ბრძანებულებით საქართველოს მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა, რუიზან ალექსის ასულ სოკურაშვილს — ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს.

ქიბეზე ჩავრბივარ. მინდა პირველმა მივულოცო რუიზანს დამსახურება.


კარს ვახტანგი მიღებს.

— დედა შინ არ გახლავთ. მობრძანდით, მალე მოვა.

აი რუიზანიც. რუსთაველის თეატრში ყოფილა, კომუნისტური შრომის დამკვრელთა საქალაქო საზეიმო შეკრებაზე. დაჯილდოებას ვულოცავ...

...როგორია რუიზანის შრომითი ბიოგრაფია? — ჩვეულებრივი, როგორც ყველა შრომისმოყვარე, გამრჯე ადამიანისა. დაბადებულია თბილისში, როდის? რა საჭიროა გავამჟღავნოთ ქალის ყველაზე დიდი საიდუმლო! იმდენი წლისაა, რამდენისაც გამოიყურება. გამოიყურება კი ისე, რომ გაგიკვირდებათ, ამ ახალგაზრდა ქალს როგორ ჰყავსო ამოდენა შვილები! ლალი მეექვსე კლასშია, სიმაღლეში ლამის გაუსწროს დედას, ვახტანგი მეხუთეში, დას არც ის ჩამორჩება.

...რუიზანის ბავშვობას დაემთხვა ქვეყნის ძნელბედობის უამი. მარტოხელა დედას უჭირდა სამი შვილის გაზრდა. გოგონა მხარში ამოუდგა მშობელს და პირველ სამკერვალო ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. ფაბრიკა მისთვის იქცა მეორე ოჯახად. აქ გაიზარდა. დაქალდა. მიუბრუნდა ბავშვობაში მიტოვებულ სკოლის მერხს, დაამთავრა მუშა-ახალგაზრდობის სკოლა. აქ მიიღო პარტიული ბილეთი. სწორედ აქ, ფაბრიკის მუშათა ოჯახში მოვიდა მის ცხოვრებაში დიდი და ნამდვილი გრძნობა — მთელმა ფაბ-



რიკამ გადაიხადა რუიზანისა და ფაბრიკის ელექტრომონტიორის უშანგი დიღმელაშვილის ქორწილი.

...ფაბრიკაში 6 სამკერვალო საამჩროა. ექვსივეში უმუშავია რუიზანს. უყვარია ტანსაცმელი პატარებისათვის, დიდებისათვის. ექვს წელიწადს კოსტატურად ჭარგავდა ნორჩების პალტოებს, კაბებს, უაბალახებს. გული სიხარულით ევსებოდა, როცა მისი ნახელავით მორთული პატარები ხვდებოდნენ ქუჩაში.

ამით როდი ამოიწურება დეპუტატი ქალის საქმიანობა. რუიზანის თაოსნობაა ფაბრიკაში დეპუტატთა საგუშაგოს შექმნა. რამაც კარგი შედეგი გამოიღო, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, დააჩქარა წლიური გეგმის შესრულება, აამაღლა შრომის დისციპლინა, გაზარდა მოთხოვნელობა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოსაშვებად. არ არსებობს ფაბრიკის ცხოვრებაში არც ერთი წვრილმანი, მასში რომ რუიზანი აქტიურად არ მონაწილეობდეს, თავისი წვლილი არ შეჰქონდეს. ამიტომ არის, რომ უყვართ და ენდობიან, ამიტომაც გახდა ბალხის რჩეული.

...სარკმლის მიღმა ღამე ჩამოწვა. რუიზანმა ფარდა გადასწია და ყვავილებს მიესიყვარულა.

ოთახში წიგნით ხელში შემოვიდა ვახტანგი. დედას დახმარება სთხოვა, მეორე ოთახიდან ლალიმაც გამოჰყო თავი...

დავემშვიდობე მეზობელს. უმაღლესი საბჭოს დეპუტატს აღარ ეცალა ჩემთვის — მეუღლეს, დედას, დიასახლისს, თავისი ქალური საოჯახო საქმეები ელოდებოდა.

ლია მიქაძე

შრომელი ქალი



სოფელს შრომა ჰქვია.

აქაურ უხუცეს ადამიანებს წარსულზე ლაპარაკი უმძიმთ... გაუბედურებული სოფელი იყო. ირგვლივ სიდუხჭირე და უმეცრება სუფევდა. მამლის ყივილზე მზეს დაასწრებდნენ ხოლმე გლეხები წამოდგომას და სათოხარში მიდიოდნენ. დაღამებამდე, ქანცის გაწყვეტამდე შრომობდნენ, საღამოობით მილასლასდებოდნენ შინ და დახვდებოდათ შებოლილი ქოხი, ჩამქრალ კვრასთან — ნაცარი, გადაყვითლებული ბავშვები რომ დაპფუსფუსებდნენ.

შრომა სოფელს მას შემდეგ დაერქვა, როცა ადამიანებმა შრომა თავიანთი კეთილდღეობისათვის დაიწყეს. ამოაშრეს ჭაობები, დარგეს ციტრუსები და გააშენეს ჩაის პლანტაციები. იზრდებოდა, ღონიერდებოდა კოლმეურნეობა. მრავლდებოდა ნარინჯი, გორაკებსა და ფერდობებს მწვანე ხალიჩად ეფინებოდა ჩაის ბუჩქები. ისლით გადახურულ ქოხმახებს ანგრევდა აქაური გლეხი და კოხტა გურულ ოდებს აშენებდა.

სოფლის თავკაცი, სწორედ სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის უცვლელ თავმჯდომარეზე — მიხაკო ორაგველიძეზე ითქმის. ყველას და ყველაფერს სწვდება მისი თვალი და ხელი. განა კოლმეურნეობის თავმჯდომარის დიდი წვლილი არ არის მახარაძეს და უკრაინის, გენიჩესკის რაიონის მშრომელთა დამეგობრებაში?!

როცა იწვოდა როვნო და მეგობრებს დახმარება სჭირდებოდათ, კრემლში უმაღლესი მთავარსარდლის სახელზე შრომიდან გაიგზავნა ბარათი. ქართველ კოლმეურნეებს სახელმწიფო ბანკში შეჰქონდათ ერთი მილიონი მანეთი სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნის“ შესაქმნელად და მოითხოვდნენ, რომ ეს ტანკები გაეგზავნათ ფაშისტ დამპყრობთაგან მოძმე უკრაინელი ხალხის გასათავისუფლებლად.

სოფელ როვნოდან ევაკუირებული ოჯახი შრომაში პოვებდა თავშესაფარს. მაშინ ქართული სოფელი უკრაინელ კოლმეურნეთა 80 ოჯახს დაეხმარა, მეგობრობის კალთა გადააფარა, იძმო, იშვილა და ომისდროინდელი ღუმა გაუყო.

შრომელები, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა თავიანთი სოფლის სახელს ამართლებენ. შრომა სახელოვანა და ამგვარი ვერ იქნებოდა, მიხაკო ორაგველიძესთანა და ტატიანა ჩხაიძესთანა ხალხი რომ არ ჰყავდეთ.

ტატიანა ჩხაიძე ვახსენეთ და მასზე საუბარი იქიდან უნდა დავიწყოთ, სკოლაში თუ საფერშლო სასწავლებელში გამორჩეულმა გოგონამ როგორ მოკეცა ორად ატესტატი, შეინახა სამარადჟამოდ და კოლმეურნეობას მიაშურა.

მაშინ კოლმეურნეობის ყოველ ბრიგადას ჰქონდა თითო „წითელალმიანი კალათა“. ამ კალათით ის მუშაობდა, ვინც ყველაზე მეტ ჩაის ფოთოლს მოკრეფდა.

ტატიანა ჩხაიძემ ერთხელ მოჰკიდა ამ კალათას ხელი და აღარ გაუშვია. ეჯიბრებოდნენ ქალები, მჯობნის მჯობნს რა დალევს კოლმეურნეობაში, მაგრამ ტატიანას ვერავინ აჯობა ბრიგადაში, ვერავინ წაართვა ის კალათა.

მაშინ თქვა თურმე მიხაკო ორაგველიძემ: ეს ფერშალი რა ყოფილა, სხვა გზა არ არის, მეორე ასეთი კალათა უნდა შემოვიღოთო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტომ ეხლახან გამოაქვეყნა ცნობა, სოციალისტური შრომის გმირის ტატიანა ჩხაიძის მიერ 30 წლის მანძილზე მოკრეფილი ფოთლიდან ფაბრიკებმა გადაამუშავეს 68.000 კილოგრამი ჩაიო.

ზღაპარსა ჰგავს მისი ცხოვრება. უღარიბესი გლეხის შვილი მრავალჯერ ყოფილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და პლენუმების მონაწილე, ადგილობრივი და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. გმირული, პატიოსანი შრომისათვის მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის სახელი, დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

თითოეული შრომელის ოჯახი სავსეა სიკეთითა და დოვლათით. სოფელში ვის გააკვირვებ რადიომიმღებითა და ტელევიზორით, მაცივრითა და სარეცხი მანქანით, მტვერსასრუტითა და გაზქურით, თანამედროვე ავეჯითა და მსუბუქი ავტომანქანით. კოპწია ქალაქსა ჰგავს შრომა თავისი დიდებული საზოგადოებრივი ნაგებობებითა და კოლმეურნეთა კოხტა სახლებით, მოასფალტებული, ღამით ნეონის ნათურებით გაჩახჩახებული ქუჩებით.

ჩხაიძეების ოჯახის წლიური შემოსავალი 5500-6000 მანეთია. ავი ხუმრობენ კიდეც კოლმეურნეობაში — პროფესორების შემოსავალი აქვთო ჩხაიძეებს. და განა მარტო ტატიანას ოჯახია ხელხვავიანი?! დანარჩენი შრომელებიც იღებენ „პროფესორის ხელფასს“. შრომელს თუ ესტატმრებით, დიდად გაახარებთ და ისე გაგიმხსპინძლდებათ დიდებულად, ეზოს არ გადასცდება.

ტატიანამ შესანიშნავი სტარტი აიღო იმისათვის, რომ 1975 წელს ჩვენში 300 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოიკრიფოს. მან ხუთწლედის პირველ წელიწადს უკვე მოიყვანა უხვი მოსავალი და გადაწყვიტა, თავისი ხუთწლიანი გეგმა ორი წლით ადრე შეასრულოს.

ტატიანა ჩხაიძის რაიონში შრომითი დიდების ოქროს ვარსკვლავის ოთხი კავალერია და მათი ნაკვეთი მოწინავე გამოცდილების სკოლა გახდა. დადიან ადამიანები პლანტაციებში უბის წიგნაკებით ყურადღებით ათვალიერებენ ტატიანა ჩხაიძის ხელებს, მის თითებს, რომლებიც ელვის სისწრაფით კრეფენ შემოსულ ფოთოლს. შემდეგ ამ ადამიანებს ტატიანა ჩხაიძის მუშაობის მეთოდები გადაქვთ სხვა პლანტაციებზე და იზრდებიან ჩაის კრეფის ახალი ოსტატები, ჩნდება ახალი რეკორდები, რომელთა ერთ-ერთი ფუძემდებელია შრომელი მშრომელი ქალი.

ჯემალ ქურხული

ის უგალობს ჰატარებს...

ამბობენ, ბავშვებს საკუთარი სამყარო აქვთ, რომელშიც მოზრდილებს მოსაწვევი ბილეთებით უშვებენო. მაყვალა მრევლიშვილისათვის „ძოსაწვევი ბარათი“ იმდენია, რამდენი ბავშვიც არსებობს ჩვენში. როგორია მოსაწვევი ბარათები? სულსა და გულს გაგითბობენ, სიხარულითა და სიყვარულით აგავსებენ, პატარას კი მერცხლის ენით ააჟღურტულებენ:

აჯაჯული-დაჯაჯული
დაბრძანდება ბაჭია,
ჩხუბი იცის „ვაჟკაცური“,
დაიჯაბნა პაწია.
თავის ტოლებს მოერიოს,
ეგ თუ კაი კაცია.

მის წიგნებში ცხოვრობენ სიმღერები და ზღაპრები, ხუმრობები და მსიარული, სასაცილო თავგადასავლები.

რა საოცრება გინდათ, აქ არ ნახოთ: წვიმა ღრუბლის საცრით წყალს როგორაცრის, პაწაწინა თოხიტარა თავის კუდს როგორ სთავაზობს ბიჭუნას, რომელსაც თოხი გაუტყდა, როგორ დანავარდობს ვარსკვლავეთში ჭანჭიკელა თავისი ლურჯათი, რა ოინბაზობას ეწევა ყორი-ავტო... ქალბატონ მაყვალას მსიარული და კეთილი ლექსები ნორჩებს ასწავლიან სიყვარულს, სიხარულს, უნერგავენ პატიოსნებას, ოსტატობას, ადამიანის შრომის დაფასებას, უმწეოს დაცვას, მეგობრის დახმარებას. ძნელია მოიძებნოს სხვა ადამიანი, რომელსაც ესოდენი სიყვარულით გაეკვლია გზა ნორჩების გულისაკენ.

— მზეო, მზეო, ცხრათვალავ,
ვის უცინი, ვისა?
— შენ გიცინი, პატარავ,
დილა მშვიდობისა!
—ჩიტო, ჩიტო ნაცარავ,
ვის უგალობ, ვისა?
—შენ გიგალობ, პატარავ,
დილა მშვიდობისა!

პატარას კი არა, დიდსაც კი აამებს ქალბატონ მაყვალას შედევრები: „ბიჭი-ბიჭანჭური“, „ვისია ზიზია“, „ყორი-ავტო“, „დილა მშვიდობისა“, „კიკლი-კიკლი კიბესა“, „სამი დობილი“, „დომპტაური“, „ჭანჭიკელა“, „ძიყვარს ყველა ცისარტყელა“... მაყვალა მრევლიშვილის ბევრი საბავშვო ლექსი სიმღერად ქცეულა, რადგან, კომპოზიტორ მერი დავითაშვილის თქმისა არ იყოს, მაყვალას ლექსები თვითონვე ითხოვენ ამღერებას.

მაგრამ მაყვალას შემოქმედება მარტო საბავშვო ლექსებით როდი ამოიწურება. იგი ავტორია შესანიშნავი ლირიკული და პატრიოტული ლექსებისა, მხატვრული ნარკვევისა თუ პუბლიცისტური წერილისა. ფრანგულიდან თარგმნილი შარლ დე კოსტერის „ულენშპიგელის ლეგენდა“ და ფრანგული ხალხური საბავშვო ლექსები მაღალმხატვრული ოსტატობის ნიმუშებია. პოეტი ქალის კალამს ეკუთვნის მადლიანად დაწერილი რამდენიმე პიესა.

პოეტი ალეკო შენგელია ამბობს: მაყვალას არ უყვარს თავისთავზე საუბარი, მოკრძალებული, უბრალო, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს ხოლმე. უხმაუროდ მოვიდა ჩვენს პოეზიაში, მაგრამ მაშინვე ღირსეული ადგილი დაიმკვიდრაო.

ჩვენ კი დავუმატებთ: ყველაფერი კარგი, მშვენიერი, სათუთი, რაც კი მაყვალას სულსა და გულს აქვს, მან თავის პატარა მკითხველებს უძღვნა.

სამაგიეროდ პატარებმა მას ყველაზე დიდი, ყველაზე ნათელი გრძნობა — სიყვარული მიუძღვნეს თავიანთ 60 წლის ტოლსა და მეგობარს.

მირანდუხტ იმნაიშვილი

თბილისი, რუსთაველის 42, „სამშობლოს“ რედაქცია

პატივცემულო რედაქტორო!

შარშან ზაფხულში ჩვენს ადგილობრივ ბაზრობაზე შევხვდი მომხიბვლელ ქართველს — ალექსი ფუტკარს. მე ვხელმძღვანელობდი მოხალისეთა ჯგუფს, ინგლისურს რომ ასწავლის უცხოელებსა და ადგილობრივ მკვიდრთ, რომელთაც საერთოდ არ უსწავლიათ სკოლაში.


ალექსი ფუტკარმა (ფუტკარაძე — რედ.) მაჩვენა თქვენი გაზეთი. მას შემდეგ გამიტაცა ქართულმა ენამ, კულტურამ და ქართველმა ხალხმა. ეხლა შემიძლია ვწერო წერილები, მაგრამ დამჭირდება ლექსიკონი და გრამატიკის სახელმძღვანელო, უმჯობესია ინგლისურ-ქართული.

მე აგრეთვე ვარ პიანისტი, ორღანისტი და ძალიან ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ მექნება ქართული მუსიკის ნიმუშები.

ჩემი ქმარი სანტა-როზას პატარა კოლეჯის მუსიკალურ განყოფილებას ხელმძღვანელობს და ძალიან აინტერესებს თქვენი გუნდური და საკრავიერი მუსიკა.

დიდად ნასიამოვნები ვიქნები ყოველგვარი ლიტერატურით, რომლის გამოგზავნასაც შეძლებთ.

მართა პიტარსონი,
5265, ვერბა ბუენას ქუჩა, სანტა-როზა, კალიფორნია.



ქალბატონო მართა!

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციამ მიიღო თქვენი ბარათი. გვესიამოვნა, რომ დაინტერესებულხართ ქართული ენით, კულტურითა და მუსიკით. თქვენს თხოვნას სიამოვნებით შევასრულებთ — ჩვენი გაზეთის რედაქცია და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება ამ დღეებში გამოგიგზავნიან თქვენთვის სასურველ ლიტერატურას.

პატივისცემით ბივი კარბელაშვილი.

წარსულიდან...

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას

ლუკა რაზიკაშვილის მოხსენება

საკმაო ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მე და პატივცემულ გამგეობას გვაქვს ერთმანეთთან შეკრული პირობა ჩემის ნაწერების გამოცემაზე. გამგეობამ მხოლოდ ერთი წიგნი დამიბეჭდა, დანარჩენი ჩემი ნაწერები კი ცალკე წიგნებად ჯერჯერობით დაუბეჭდავი რჩება. ამის შემდეგ ყველასათვის ადვილად გასაგებია, ჩემი ნაწერები მე არაფერში მარგია, თუმცა მუდამ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარ და არც შემიძლია სხვას ვისმე გადავცე დასაბეჭდად. რის გამო ორწყალშუა ვარ დარჩენილი და არსაით წასასვლელი გზა არა მაქვს.

ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ პატივცემულ გამგეობას, ჩემს ამგვარ მდგომარეობას რაიმე წამალი დასდოს თავის საქმეების დაუზიანებლად და თუ გამგეობა მოისურვებს, ადვილადაც მოხერხდება. ბევრს არ ვითხოვ: ყოველ წელს, ვიდრე შეუდგებოდეთ ჩემის ნაწერების ბეჭდვას, მომეცეს ასი მანეთი (100 მანეთი) ჩემთვის მოსაცემი ფულის ანგარიშში.

თქვენდამი ამ მოხსენების მორთმევის მიზეზი ჩემი გაჭირვებული მდგომარეობაა და გთხოვთ ამ 1904 წლისა ერთად მომცეთ.

ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი

1904 წ. 3 თებერვალი.

პასუხი „სტუდენტთა კასის“ ხელმძღვანელებს

ბატონებო!

ფრიად ვწუხვარ, რომ თქვენს თხოვნას ვერ ვასრულებ უქონლობის გამო, რასაკვირველია, და, თუნდაც მქონდეს, მაინც არაფერს არ გამოგიგზავნიდით, რისთვისაო? იკითხავთ. იმისათვის, რომ ეგ ფული ვალად არ ამიღია სტუდენტების წრისაგან; თუ ვალის თხოვნაა და ვალად ჩასაგდებია ხუთი თუმანი, ამ ვალს ეხლანდელები კი არ უნდა თხოულობდეთ, ისევ იმათ უნდა ითხოვონ, ვინც ეს ფულები გაიღო და არა თქვენ, რომელთაც არავითარი ნაწილი არა გაქვსთ ამ 50 მანეთში. ეს ერთი, მეორე: ვსთქვათ, ვიშოვე ხუთი თუმანი და გამოვგზავნე, რომელი ერთი მშიერი უნდა გაგაძღოსთ ამ ხუთმა თუმანმა? შვიდს კაცსა გვშიანო, შემომტირით, — არავითარი საშუალება ცხოვრებისა არა გვაქვსო. მერე რას აკეთებთ მანდ ეგ შვიდი კაცი, მშიერებმა რა უნდა ისწავლოთ? სომშილ-წყურვილით მიღებულის სწავლისა მე არაფერი მწამს, რადგან ასეთი სწავლა-დიპლომით შეიარაღებული მხოლოდ კუჭის გაძღომაზედ ჰფიქრობს და უთქვენოდაც მრავალნი გვყვანან კუჭის მსახურნი, მუცლის მაღმერთებელნი. ცხრა მთას იქით რომ სომშილით არ იხოცებოდეთ, და ჩემისთანა ღარიბს მომეტებულად არ აღარიბებდეთ, არა სჯობს, ჩამოხვიდეთ თავის სამშობლოში და აქ დაიხოცნეთ! თუ სხვა ხელობას ვერას მიიღებენ ეგ მშიერნი, ხელები ხომ ასხიათ ტანზედ, იმუშაონ და იცხოვრონ. თუ ვაჟკაცშაველა არა თაკილობს, ხმარობს თოხსა და ნიჩაბსა, გუთანს იჭერს, მაგათ რატომ აღარ უნდა იკადრონ?

თქვენი კეთილის მოსურნე ვაჟა-ფშაველა.

(1892 წ. სექტემბრის პირველი რიცხვები).





სურათებზე: მარცხნივ — ავიაციის პიონერი ალექსი შიუკაშვილი; ავიაციის ამაგდარი ალექსი შიუკაშვილი ესაუბრება პირველ კოსმონავტს იური გაგარინსა და მის მეგობრებს.

შეშვარდენი აფრინდა

ჩვენს წინ მაგიდაზე დევს დროისაგან გაცრეცილი და ფერდაკარგული ფოტოსურათი. მასზე გამოსახულია პლანერი, რომელსაც ახალგაზრდა კაცი მართავს: „ა. შიუკაშვილის ფრენა საკუთარი კონსტრუქციის პლანერზე. 1908 წლის 5 მაისი“. ეს უნიკალური ფოტო და ამონაჭრები იმდროინდელი გაზეთებიდან მოგვითხრობენ ჩვენს ქვეყანაში საავიაციო ტექნიკის განვითარების საწყისებზე, იმ ადამიანთა პირველ ნაბიჯებზე, რომელთაც დაუცხრომელი რწმენა ჰქონდათ, რომ დადგებოდა დრო, როცა ადამიანი დაეუფლებოდა ცის სივრცეებს...

ლეძსი შიუკაშვილი 15 წლისა იყო, როცა მან პლანერით აფრენა სცადა. თავისი მანქანა აიტანა მახათას მთაზე, თბილისს რომ გადმოსცქერის აღმოსავლეთის მხრიდან. გაოცებული მაყურებლების თვალწინ საფრენი აპარატი უცერად მოწყდა მთის ფერდობს, ნელ-ნელა აიყვანა ადამიანი ჰაერში და 50 მეტრის იქით დაეშვა. იმ დროს თბილისისათვის ეს სასწაული იყო. რა იცოდნენ იქ დამსწრე თბილისელებმა, თუ რამდენი იწვალა გიმნაზიის მოსწავლემ ალექსი შიუკაშვილმა, სანამ ამ აპარატს გააკეთებდა.

ალექსის გაფრენის ამბავი მივიდა განათლების უწყების მოხელეთა ყურამდე. მათ დაწვრილებით გამოიკვლიეს ყველაფერი და... შიუკაშვილი გიმნაზიიდან გარიცხეს. „აღმზრდელთა“ ამ სისასტიკემ ვერ შეაკრთო ნიჭიერი ჭაბუკი, მან უფრო მეტი გატაცებით მოჰკიდა ხელი საავიაციო საქმის შესწავლას.

1909 წელს ალექსი შიუკაშვილი ჰქმნის ახალი კონსტრუქციის პლანერს, რომელიც უკვე ას მეტრზე ფრინავს.

პირველი ცდების შემდეგ შიუკაშვილმა გადაწყვიტა აეშენებინა საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავი, მაგრამ ამისათვის სახსრები არ გააჩნდა. ფულის საშოვნელად დაიწყო ფასიანი ლექციების კითხვა საავიაციო ტექნიკის განვითარებაზე. შენახულია ერთი ძველი აფიშა, რომელზეც გკითხულობთ: „1910 წელი. ქ. გორი, კვირას, 18 ივლისს, ქალაქის საზაფხულო კლუბში, დღის 12 საათზე, ამერიკავკასიის აეროსანაოსნო წრის წევრი ა. შიუკაშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „აერონაოსნობა, მისი წარსული და აწმყო“. ამ ლექციის კითხვის დროს მოულოდნელი რამ მოხდა: ლექტორმა გამოთქვა რწმენა, რომ არც ისე შორს არის დრო, როცა საჰაერო გზები შეაერთებენ შორეულ ქალაქებს და შეიქმნება აეროდრომები, სარკინიგზო სადგურების მსგავსად, სადაც იყიდი ბილეთს და გაფრინდები, საითაც გინდა. დარბაზში, წინა რიგში გამოჯომლმა გორის მაზრის უფროსმა ამ სიტყვებს ყური რომ მოჰკრა, მყისვე წამოხტა და ხალხს მიმართა:

— ეს ღვთის საწინააღმდეგო რამ არის და ხელმწიფე-იმპერატორი ამას არ დაუშვებს. — შემდეგ ლექტორს მიუბრუნდა: — ჩამობრძანდი მაგ კათედრიდან, დღეიდან შენი ფეხი არ იყოს გორში, თორემ იოლად ველარ გადამრჩები.

ესე ხდებოდნენ ოფიციალური წრეები მეცნიერებე ჭაბუკის ცდებს, მაგრამ საქმე წინ მიიწევდა. იმავე ხანებში ამ საქმით გატაცებული იყვნენ ფრენოსნობის ერთ-ერთი პირველი ენთუზიასტი, სახელგანთქმული ბესარიონ ქებურია, ოფიცერი პლატი და სხვები.

სულ მალე ალექსი შიუკაშვილმა მოტორიანი თვითმფრინავის პროექტი შეადგინა. უსახსრობის გამო მან ორჯერ მიმართა მეფისნაცვალს კავკასიაში — ვორონცოვ-დაშკოვს დახმარებისათვის, მაგრამ ორჯერვე უარით გამოისტუმრეს. მაშინ კონსტრუქტორმა სადღაც იშოვა ძველი, დაზიანებული მოტორი, შეაკეთა და დადგა თავის ახლად აგებულ თვითმფრინავზე. ცალკეული დეტალები მას მეგობარმა რკინიგზელებმა დაუმზადეს. 1912 წელს „კანარი“ (ესე მონათლა ალექსიმ მანქანა) მზად იყო. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მის კონსტრუქციაში იყო ისეთი სიახლენი, რომლებიც შემდეგ ევროპულ თვითმფრინავებში გამოიყენეს...

თვითმფრინავის გამოცდა უნდა მოეხდინათ მინდორში, თბილისის ახლოს.

— ჯერ სახელდახელოდ იმპროვიზებულ აეროდრომზე დამყავდა მანქანა, — იგონებს ალექსი, — შემდეგ მცირე სიმაღლე ავიღე, მაგრამ უფრო მაღლა აფრენისას მოხდა ავარია, საჭე და ფუჭელაზის წინა ნაწილი დაიმსხვრა...

ვერც ამ მარცხმა დასძლია დაუცხრომელი ექსპერიმენტატორი. კარგად შეისწავლა ავარიის მიზეზები, შეუდგა მანქანის გადაკეთებას. ამის შემდეგ თვითმფრინავმა გაცილებით უკეთესი იერი მიიღო, მაგრამ შიუკაშვილი მაინც იძულებული გახდა შეეწყვიტა ცდები — საჭირო იყო პილოტის დიპლომი.

1913 წელს შიუკაშვილი მიემგზავრება ოდესაში და აბარებს გამოცდებს აეროკლუბში პილოტ-ავიატორის წოდების მისაღებად. მომდევნო წელიწადს, როცა მსოფლიო ომი დაიწყო, ის მიავლინეს გატჩინოს სამხედრო-საავიაციო სკოლაში; სულ მალე მას ფრონტზე ვხედავთ, სადაც შეასრულა მრავალი საბრძოლო გაფრენა, ჩამოყარა მტრის თვითმფრინავები, რისთვისაც საბრძოლო ორდენებით დაჯილდოვდა.

ამასობაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. საბჭოთა მთავრობა თავიდანვე დიდ ყურადღებას უმობდა სამოქალაქო ავიაციის შექმნას. ალექსი შიუკაშვილი გახდა საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ითავა ამიერკავკასიის სამოქალაქო ავიაციის საზოგადოების („ზაკავია“) შექმნა. ამ დროიდან თბილისის გაზეთებში პერიოდულად ქვეყნდება წერილები და ნარკვევები იმაზე, თუ რა როლი უნდა შეასრულოს ავიაციამ ქვეყნის სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებაში. 1923 წლის 1 თებერვალს „ზარია ვოსტოკა“ წერდა: „საჰაერო ფლოტი ჩვენში ოცნება კი არა, ჭეშმარიტი სინამდვილეა. სიტყვებიდან საქმეზე, თეორიიდან პრაქტიკაზე გადავედით. ფლოტი დაიბადა, მას უნდა მზრუნველობა და მოვლა, რათა ფოლადის ფრთები უფრო მეტად გაიმაგროს“.

ალექსი შიუკაშვილი ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, არ შორდება თავის საყვარელ საქმეს, სამამულო ავიაციის ისტორიის მოწმე და მონაწილე, დღესაც სასარგებლოდ შრომობს.

ავიაციის ცხოვრების მანძილზე ალექსი შიუკაშვილს ჰქონდა ბედნიერება შეხვედროდა ლენინს და ელაპარაკა მასთან, ემუშავა ფრუნზესთან, ორჯონიკიძესთან, კუიბიშევთან, კიროვთან. შეხვედრია პირველ მფრინავ-კოსმონავტს იური გაგარინსა და მის მეგობრებს. ალექსი შიუკაშვილი ოცდაათამდე გამოგონებისა და რამდენიმე საინტერესო წიგნის ავტორია...

ვლადისლავ გულაშვილი,
როგერტ მეგრელიშვილი
თბილისი-მოსკოვი.

მიეძღვნა საქართველოს...

ჟურნალ „ვ მირე კნიგის“ წლევანდელ პირველ ნომერში გამოქვეყნებულია მასალები საქართველოზე.

გარეკანის მეორე გვერდზე მოთავსებულია ჩვენი რესპუბლიკის მიერ ამ უკანასკნელ ხანს გამოშვებული წიგნების ყდათა ფოტორეპროდუქციები სათანადო ტექსტით. მეოთხე და მეხუთე გვერდებზე დაბეჭდილია მოზრდილი სარედაქციო წერილი „საქართველო“, რამდენიმე ქართული წიგნის ყდის ილუსტრაციათა თანხლებით. წერილი ეხება საქართველოს წარსულსა და აწმყოს, მის დიდ წარმატებებს სახალხო მეურნეობასა და კულტურის ყველა დარგში, კერძოდ, წიგნის გამოცემის საქმეში. „1969 წელს საქართველოში გამოცემული წიგნების რაოდენობამ შეადგინა 2.302 ნაბეჭდი ერთეული, 17 მილიონზე მეტი ეგზემპლარი სახელთო ტირაჟით“ — ეკითხულობთ ჟურნალის ფურცლებზე.

გამოიცა მოსკოვში

გამომცემლობა „სოვეტსკი ხუდოჟნიკმა“ გამოუშვა ხელოვნებისმცოდნე კიტა მაჩაბლის მონოგრაფია საქართველოს დამსახურებული მხატვრის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ირაკლი ოჩიაურის შემოქმედებაზე. წიგნში გაანალიზებულია ირაკლი ოჩიაურის ფერწერული, ნაქანდაკევი, გრაფიკული ნაწარმოებები და, რასაკვირველია, ოქრომჭედლობა, რომლის ერთ-ერთ ამღორძინებლად იგი ითვლება საქართველოში.

წიგნს დართული აქვს მხატვრის ნამუშევართა 107 რეპროდუქცია.



სურათზე: ირაკლი ოჩიაურის ნამუშევარი — „ფიროსმანაშვილი“.

ეკრანზე „რერო“

ცენტრალური ტელევიზიის დაკვეთით კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ გადაიღო ფერადი მუსიკალური ფილმი-რევიუ — „რერო“ იღებს სტუმრებს“. საინტერესოდ გაზრებული სცენარით რეჟისორმა გენო წულაიამ შექმნა მეტად ლამაზი და ეფექტური სურათი, რომლის მთავარი მოქმედი გმირია „რერო“ — ცნობილი ქართული საესტრადო ანსამბლი კონსტანტინე პევზნერის ხელმძღვანელობით.

...ეკრანიდან იღვრება ტკბილი ქართული მრავალჟამიერი, მას მოჰყვება საახალწლო სადღეგრძელო და იწყება დიდი საზეიმო კონცერტი. სინათლე, სითბო, იუმორი ახლავს ყოველ ნომერს. ზუსტი და ლამაზი მოძრაობით, მოხდენილი ილეთებით გამოირჩევა საბალეტო ჯგუფების მიერ შესრულებული კოლორიტული ეროვნული ცეკვები. საინტერესოა ქორეოგრაფიული სურათები, სისადავით, დახვეწილობით, რომანტიკული მომხიბვლელობითა და შესრულების თავისუფალი სტილით გეხიბლავენ მომღერლები, მაღალკვალიფიციურად ჟღერს ორკესტრი.

ალიმართება ბარათაშვილის ძეგლი

მხატვრის მარცხენა სანაპიროზე, ნიკოლოზ გარათაშვილის სახელობის ხიდთან, აღიმართება გენიალური პოეტის ძეგლი. ძეგლის სკულპტურული მოდელის შესაქმნელად საქართველოს კულტურის სამინისტრომ და მხატვართა კავშირმა შორშან კონკურსი გამოაცხადეს.

ამ დღეებში გამომცემლობა „მერნის“ დარბაზში გამოფენილი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის საკონკურსო ნამუშევრები.

ყოველი მხრიდან

ქართული ტანვარჯიშის სიამაყე

ინდოეთში საბჭოთა ტანმოვარჯიშეების მოგზაურობამ თითქმის ორ თვეს გასტანა. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილთა საჩვენებელი გამოსვლები ყოველთვის დიდძალ მაყურებელს იზიდავდა. როგორც წესი, სარბიელზე პირველად ქალთა გუნდის თავი მზია ჯუღელი გამოდიოდა. მცხუნვარე მზის მიუხედავად ქართველი ქალიშვილი ისე თავისუფლად, მოხდენილად, ოსტატურად ასრულებდა ყველა ვარჯიშს, თითქოს საჩვენებელი გამოსვლა კი არა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად იბრძვისო. კაპიტნის საბრძოლო განწყობილება სხვებსაც ადაგზნებდა და პლანეტის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები მართლაც დიდებული სანახავი იყვნენ. აკი წერდა კიდეც ინდოეთის პრესა: „მსგავსი რამ ჩვენი ქვეყნის სპორტის მოყვარულთ ჯერ არ უნახავთ“... „მზია ჯუღელი და მისი მეგობრები განუმეორებელნი არიან“... „ტანვარჯიშის დიდოსტატები საბჭოთა კავშირიდან“...

დადგა ინდოეთთან გამომშვიდობების დღე. საბჭოთა ტანმოვარჯიშენი გაბრწყინებულ სპორტულ სამყაროსთან დაახლოებულ მაჰარაჯას ოჯახში.

— ვიცოდით, იმდღევანდელ ჩვენს მასპინძელს დიდად არ ეპიტნავებოდა საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფი, მაგრამ სტუმარ-მასპინძლობის წესით მიპატიჟებაზე უარი არ გვითქვამს,— იგონებს ქალბატონი მზია 1957 წელს ინდოეთში მოგზაურობას ამბავს და თავისი სპორტული ცხოვრების ერთ საინტერესო ფურცელს მიშლის.

— საღამო ჩვეულებრივად წარიმართა: შეისვა რამდენიმე ოფიციალური სადღეგრძელო ითქვა, როგორ აახლოებს ადამიანებს სპორტი. ბოლოს გულუხვმა მასპინძელმა სამახსოვრო საჩუქრები მოგვართვა და გვთხოვა, სანამ სასტუმროში წაბრძანდებოდეთ, მინდა ჩემი ბაღის სიმშვენიერეც ისილოთო. სუფთა ჰაერზე გასეირნება ყველას გვეამა. იქაც ფანჩატურში გაშლილ სუფრასთან მიგვიწვიეს. — ბატონებო და ქალბატონებო, — მოგვმართა ოჯახის თავმა, — ამ საღამოს საშუალება გექნებათ დაამტკიცოთ, რომ თქვენ არა მარტო მსოფლიო სახელის მქონე სპორტსმენები ბრძანდებით, არამედ, მკერდში უშიშარი, შეუდრეკელი გული გიძგერთ...

ჩვენ, ცოტა არ იყოს გაკვირვებული შევცქეროდით მასპინძელს და ვერ მივმხვდარიყავით, როგორ აპირებდა ჩვენი გულადობის გამოცდას. მაშინ მან ხელით გვანიშნა ბაღის შუაგულში მოჩეცულ პატარა ტბაზე, თან ნათქვამი აგვიხსნა: — დაე, მამაცთა შორის უშმაგესი ტბაზე გადაწოლილ ქოქოსის პალმაზე ავიდეს, კენწეროზე ჩამოკიდებული ნაყოფი მოწყვიტოს და მისი გემო გაგვასინჯოს. ჯილდოდ სპილოს ძვლისაგან ასხმულ ყელსაბამს ვაწვდით. — ბოლოს დასძინა — ოღონდ იცოდეთ, ტბაში ჩავარდნას დიდი უსიამოვნება შეიძლება მოჰყვეს — ტბაში ნიანგები დაცურავენ...



სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვეძლო უარი გვეთქვა ამგვარ ატრაქციონში მონაწილეობაზე, მაგრამ სურვილმა — ცნობისმოყვარეობა მასპინძლისათვის დამემტკიცებინა — ცუდად გიცინიარ, შიში რას მიქვიაო, თავისი გაიტანა. განვაცხადე — ხეზე მე გავალ, ქოქოსის გემოს მე გაგასინჯებთ-მეთქი.

შიშს დიდი თვალები აქვსო... ტანთ გავიხადე, ვიფიქრე, თუ ტბაში ჩავვარდი, საბანაო კოსტიუმში უფრო სწრაფად ვიცურებ და იქნებ ნიანგებსაც დავუსწრო-მეთქი. ხეზე ადვილად ავედი. მოვწყვიტე ქოქოსი და ჩამოსვლა დავიწყე. ჩემდა უნებურად ტბაში ჩავიხედე და... ნიანგის დანახვამ თავბრუ დამასხვია, ჩემი ქოქოსიანად კინაღამ გადავეშვი წყალში. — მზია, ყოჩაღად! მომწვდა მეგობრების ხმა. ძალა დამიბრუნდა, სიმხნევე მომემატა, სული მოვითქვი და ჩამოსვლა განვაგრძე. თვალდახუჭული მოვცოცავდი — ნიანგის მეორედ დანახვა, ვინ იცის, რას მომიტანდა. საშვიდობოს გასვლა მაყურებელთა ყიჟინამ მაცნო. მასპინძელმა ჯილდო გამომიწოდა. ვუთხარი: ყელსაბამისთვის როდი ავხულვარ-მეთქი ხეზე... მასპინძლისათვის შეურაცხყოფა რომ არ მიმეყენებინა, სამახსოვროდ მოწყვეტილი ქოქოსი წამოვიღე...

— ქალბატონო მზია, თქვენ ერთადერთი ქართველი ქალი ბრძანდებით, ოლიმპიური ჩემპიონის სახელს რომ ატარებთ. გუნდი, რომელსაც წინ მიუძღოდით, 1952 წელს ჰელსინკში გამართულ ფორუმზე გამარჯვებულის უმაღლეს კვარცხლბეკზე ავიდა. როგორ იხსენებთ დიდ სპორტში განვლილ თქვენეულ გზას?

— როცა სპორტში გადადგმულ ნაბიჯებზე ვლაპარაკობ, თვალწინ მიდგას ჩემი პირველი აღმზრდელის, განსვენებული შალვა ბოსტაშვილის სახე. მახსოვს, გურჯაანის საშუალო სკოლის მეორე კლასის ანცი და თავნება მოსწავლე თავისთან მიმიხმო და მითხრა: ხეებზე სტუნვას თავი დაანებე, ჩემთან მოდი დარბაზში და იქ დამიმტკიცე, რა შეგიძლიაო. მეც მივედი და... ორ წელიწადში, 1938 წელს, მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონის სახელი მოვიპოვე. შემდეგ წელიწადს კი საკავშირო შეჯიბრებაზე მივაღწიე წარმატებას.

1940 წელს — მაშინ უკვე თბილისში ვცხოვრობდი, — უფროსი ასაკის მოსწავლეთა შორის საბჭოთა კავშირის პირველობაზე მეორე ადგილი დავისაკუთრე. ცალკეულ იარაღებზე კი ჩემპიონი გავხდი. ომის წლებში მაინც ვვარჯიშობდი, თან ცურვასაც მივეტანე და კარგ შედეგებსაც მივაღწიე.

ოქროს პირველი მედალი 1943 წელს მოვიპოვე, როდესაც საკავშირო პირველობაზე ბჟენიო ხტომებში ყველა მეტოქეს ვაჯობე. ამ იარაღზე პირველობა არც 1947 წელს დამითმია ვინმესთვის.

ჩემპიონის ტიტული შემდეგ წლებში ექვსჯერ მოვიპოვე. ოქროს 13, ვერცხლის 9 და ბრინჯაოს 5 მედალი — აი ჩემეული სპორტული ნადავლის არასრული სია. რა თქმა უნდა, მათ შორის უპირველესი ჰელსინკში მოპოვებული ოქროა — იქ ხომ მე და ჩემმა მეგობრებმა კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშენი მსოფლიოში უძლიერესნი არიან. დიდ სპორტს 1962 წელს გამოვემშვიდობე...

ჰელსინკის ოლიმპიური ასპარეზობებისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი მზია ჯუღელი დღეს ტანვარჯიშში უმაღლესი სპორტული დოსტაჟების სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლის დირექტორია. ამასთან იგი საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელიც არის. უნდა გეწახათ, რა ბედნიერი სახით დადიოდა დვაწლმოსილი აღმზრდელი ხალხთა მეგობრობის სასახლის დიდ სცენაზე, როცა ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა საერთო მე-4 ადგილს მიაღწიეს და უკან ჩამოიტოვეს სხვა რესპუბლიკების გუნდები.

სკოლა, რომელსაც სათავეში მზია ჯუღელი უდგას, დღეს უკვე შეუდგა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეექვსე სპარტაკიადისათვის მზადებას. დღესვე გვყვება საფუძველი მომავალ წარმატებებს თბილისისა თუ ქუთაისის, ბათუმისა თუ ცხინვალის, სოხუმისა თუ გორის სასპორტო დარბაზებში. ახალგაზრდები დღითიდღე ეუფლებიან თანამედროვე ტანვარჯიშის ურთულეს ილეთებს, მათ დაოსტატებას კი ადრინდელი მგზნებარებით დაჰფუსფუსებს ქართული ტანვარჯიშის ბიამაყე, ოლიმპიური ჩემპიონი — მზია ჯუღელი, ჩვენი მზია.

რევაზ მაჭავარიანი







სურათებზე — მარცხნივ — მზია ჯუღელი; ზევიდან — მზია ჯუღელი ინდოეთში; ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი — საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა გუნდი. მარცხნიდან პირველი გუნდის კაპიტანი მზია ჯუღელი; ბებია და შვილიშვილი სპორტულ დარბაზში.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტოები

„დინამოს“ კალენდარი

დამტკიცდა ფეხბურთში საბჭოთა კავშირის XXXIV პირველობის გათამაშების კალენდარი „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის. ეი როგორია ის თბილისის „დინამოსათვის“:

პირველი წრე

აპრილი — 4. „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი); 8. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი); 15. „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი); 22. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).

მაისი — 2. „დინამო“ (თბილისი) — „ნევთჩი“ (ბაქო); 7. „ყაირათი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (თბილისი); 16. „დინამო“ (თბილისი) — ასკ (როსტოვი); 20. „დინამო“ (თბილისი) — ზარია (ვოროშილოვგრადი); 29. „არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი).

ივნისი — 3. „კარპატი“ (ლვოვი) — „დინამო“ (თბილისი); 11. დნეპრი (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (თბილისი); 23. „დინამო“ (თბილისი) — ცსკა (მოსკოვი); 28. „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი).

ივლისი — 6. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი); 11. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).

მეორე წრე

ივლისი — 19. „ნევთჩი“ (ბაქო) — „დინამო“ (თბილისი); 24. „დინამო“ (თბილისი) — „ყაირათი“ (ალმა-ათა).

აგვისტო — 1. „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი); 9. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი); 13. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი).

სექტემბერი — 2. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი); 8. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი); 17. ასკ (როსტოვი) — „დინამო“ (თბილისი); 22. „ზარია“ ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (თბილისი).

ოქტომბერი — 1. „დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი); 6. „დინამო“ (თბილისი) — „კარპატი“ (ლვოვი); 11. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი); 21. ცსკა (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი); 29. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი).

ნოემბერი — 3. „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი).

მერვედფინალში...

წელს ადრე მოვიდა დიდი ფეხბურთი — უძლიერესი საკლუბო გუნდები საბჭოთა კავშირის თასისათვის ბრძოლაში თებერვლის შუა რიცხვებში ჩაებნენ.

თბილისის „დინამომ“ პირველი მატჩი 4 მარტს გამართა ხარკოვში ადგილობრივ „მეტალისტთან“.

ქართველი ფეხბურთელებისათვის სტარტი უიღბლო გამოდგა: ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. გავიდოდა თუ არა თბილისის „დინამო“ თასის გათამაშების მერვედფინალში, პასუხი უნდა გაეცა რუსთავში გამართულ ამ გუნდების განმეორებით შეხვედრას, რომელიც 8 მარტს შედგა.

მატჩი საინტერესო გამოდგა. სტუმრები ცდილობდნენ საკუთარ მოედანზე მოპოვებული წარმატება შეენარჩუნებინათ და, თუ მაინცადამაინც დამარცხდებოდნენ, შეხვედრა მინიმალური ანგარიშით წაეგოთ. თბილელებს გამარჯვების მისაღწევად მოწინააღმდეგის კარში სულ ცოტა სამი ბურთი მაინც უნდა გაეტანათ. ქართველი ფეხბურთელების თავგამოდებულმა, ტექნიკურმა თამაშმა შედეგი გამოიღო — ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს თბილისელებმა. აღსანიშნავია, რომ სამი ბურთი მოწინააღმდეგის კარში გაიტანა გივი ნოდიამ, ერთი — გოჩა გავაშელმა.

რუსთავის სტადიონზე თბილისის „დინამო“ შემდეგი შემადგენლობით გამოვიდა: თეიმურაზ ტეფანია, რევაზ ძოძუაშვილი, ზორბეგ ებრალიძე, ვახტანგ ჭელიძე, მურთაზ ხურცილავა, ჯახი ასათიანი (სერგო ჯურავაძე), მანუჩარ მაჩაიძე, გოჩა გავაშელი, ვლადიმერ გუცაევი, გივი ნოდია და ლევან ნოდია.

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალში თბილისელთა მეტოქე უკვალოდ „შახტიორი“ აქნება.

დედაენა

საჩუქარგარეთულ თანამემამულეთათვის
შედგენილი გალერიან რამიშვილის მიერ
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" მიხედვით

გაკვეთილი 9




მუსა
მუ-სა.
მ უ ს ა
მ

მა-მა. მა-ხე მე-სი. მა-სა-თი. სო-სუ-ძი.
ძმა. მთა. მე. ძი-სი. სა-მი. ძმი-მე. ის-მის.

ეს მახეა. ის მახათია. სამი სათია. თუთის ხე ძიასია. მე მამა მეძასის.

ძუის მახე მიხასია. მაიას უთო ძმიმეა.
სოსო თათიას ძმაა. ეს სოხუმია.




გაკვეთილი 10



შოშია
შო-ში-ა
შ ო შ ი ა
შ

შე-შა. მუ-შა. შო-თი. სა-ხი. შო-თა. ში-ო.
ეს შოთია. ის საშია. შიო მუშაა. ეს შეშაა.

შოშიას სმა ისმის. მას შია. ეს შიოს თუთის სეა. თუთის ხეს ახხია. ძიძია ძმას ეძახის.



არ დაივიწყოთ, ისწავლეთ მშობლიური ქართული!



იხარონ, იბედნიერონ!

ამბობენ, საბჭოთა კავშირში ერთადერთი პრივილეგიური კლასი არსებობს — ბავშვებიო. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში კვლავ დარწმუნდებით, თუ ეწვევით კოხტა ორსართულიან შენობას, ყვავილებითა და აშოლტილი ხეებით სავსე ეზოში რომ ჩაფლულა. პირველი საბავშვო ბაღი ჰქვია ამ სახლს. სიტყვა „პირველი" კარგად გამოხატავს მის ადგილსა და მნიშვნელობას დედაქალაქის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებათა შორის — 51 წლის წინათ იგი პირველი იყო თბილისში და პირველობა არავისთვის დაუთმია დღემდე. ეს ბაღი იყო პირველი, რომელიც გადაიქცა მასწავლებელთა დახელოვნების ბაზად. პირველად აქ დაინერგა მეთოდი — პატარებს ადრეულ ასაკში გააცნონ მშობლიური ანბანი, ასწავლონ სიტყვების სწორი გამოთქმა, დააწაფონ რუსულ და უცხოურ ენებს, გაუზიარონ მათემატიკის უმარტივესი ზოგადი მცნებები.

საქმე სხვაც ბევრი აქვთ ამ სახლის აღსაზრდელებს. ხატვას, ლექსებს, სიმღერას, ცეკვას, ვარჯიშს და... თამაშსაც ხომ სწავლა უნდა!

თოჯინებსაც ვერ დატოვებენ უყურადღებოდ. თავადაც ხომ თოჯინებს ჰგვანან, — სიცოცხლით სავსე თოჯინებს! გული არ მოგითმენს, არ მიესიყვარულო ჩვენს დღევანდელ სიხარულსა და ხვალინდელ იმედს.

ამ ბაღს ხშირად „უნაფქოშვილის ბაღსაც" უწოდებენ. ნატალია უნაფქოშვილი, სიმპათიური, ჰაღარა მანდილოსანი, დაარსების დღიდან 40 წელიწადი ერთგულად ემსახურებოდა დიდსა და მამულიშვილურ საქმეს — პატარების აღზრდას — და მხოლოდ ათიოდე წელია, რაც ბაღის ბედ-იღბალი ქეთევან კაკუშაძეს გადააბარა.

ორმოცი წლის მანძილზე, ვინ იცის, რამდენმა თაობამ გაიარა მის ხელში, ყოველწლიურად ქალბატონ ნატალიას დაუმახსოვრებია ასობით ნორჩის სახელი და გვარი. დამახსოვრება კი ნამდვილად საჭიროა. თითოეული ამ პატარის სახელისა და გვარის მიღმა ხვალინდელი ინჟინერი, ექიმი, მსახიობი, პედაგოგი, მეცნიერი დგას...


დღეს ბაღში 300 აღსაზრდელია. მათ მზრუნველობას უწევს უმაღლესი და სპეციალური განათლების 14 პედაგოგი, ექიმები, ექიმის თანაშემწენი, მომვლელები, მზარეულები...


შარშან ნოემბერში საბავშვო ბაღმა თავისი არსებობის ნახევარი საუკუნე აღნიშნა. საზეიმო საღამო ახალი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გადაიხადეს. პატარების სიხარული გაიზიარეს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა, საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. საზეიმო საღამო ტელევიზიითაც გადაიცა.

პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ შარშან გაზეთ „ნედელიას" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: ჩემი საყვარელი სადღეგრძელოა ბავშვების სადღეგრძელო. მე მათ ვუსურვებ ხოლმე — ღმერთმა აშოროთ სამი რამ: ომი, სიმდიდრე და სიღატაკეო. შესანიშნავად არის ნათქვამი. ჩვენც იგივე ვუსურვოთ ჩვენს ბედნიერ თაობას.

იხარონ და იბედნიერონ!

მანანა დოლენჯაშვილი





სურათებზე: მარცხნივ — არავის უთხრა...; ლალი მასწავლებელი (ფერაძე) თავის აღსაზრდელებთან. თამაზ სიხარულიძის ფოტოები

დაგეძებენ, ეძებენ

ვსევოლოდ გრიგოლის ძე მჟავანაძეს,

დაბადებულს 1901 წელს ვანის რაიონის დიხაშოს საბჭოს სოფელ ციხისუბანში, ეძებენ მეუღლე — **შურა,** შვილები — **გივი, ეთერ, ჰამლეტ, ციალა** მჟავანაძეები, მცხოვრებნი სოფელ ციხისუბანში.

გრიგოლ ლევანის ძე გაგნიძეს,

დაბადებულს 1913 წელს ონის რაიონის სოფელ შქმერში, ეძებენ მეუღლე — **ბაბუცა,** შვილები — **ჯუმბერ, ჯემალ, ზურაბ გაგნიძეები,** მცხოვრებნი ქალაქ რუსთავში, კიროვის ჩიხი, სახლი 6, ბინა 16.

რაჟდენ ზოსიმეს ძე ლეგანიძეს,

დაბადებულს 1914 წელს ონას რაიონის სოფელ კვაშხიეთში, ეძებენ მეუღლე — **ვერა,** შვილი **იზოლდა,** სიძე — **ვახტანგ,** შვილიშვილები — **ტარიელ, ავთანდილ, თეიმურაზ ჯაფარიძეები,** მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VI კვარტალი, IV კორპუსი, I სადარბაზო, ბინა 29.

მამია გარნაგის ძე კოგბალაძეს,

დაბადებულს 1911 წელს მახარაძის რაიონის სოფელ მერიაში, ეძებენ დედა — **ეფემია,** დები — **ნათელა, თეოლინა, გოგუცა კობალაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, ჯანაშიას ქუჩა № 3ა.

ალექსანდრე საულის ძე ბუმბურიძეს,

დაბადებულს 1903 წელს სომონეთში, ეძებენ მეუღლე — **ელენე,** შვილები — **ლუიზა, ემზარ ბუმბურიძეები,** მცხოვრებნი თბილისში, ბაქოს ქუჩა № 20ბ.

გიორგი ბასანის ძე ბუმბურიძეს (ალიევს),

დაბადებულს 1921 წელს თბილისში, ეძებს დედა — **მერი ბუმბურიძე-ჩხეიძე,** მცხოვრები თბილისში, შეროზიას ქუჩა № 9.

შოთა ზაქარიას ძე ფეიქრიშვილს,

დაბადებულს 1922 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში, ეძებენ ძმა — **კარლო,** ძმისწულები — **მარიამი, შოთა,** მამიდები — **ივლიტა, ნინო,** ბიძა — **ალექსანდრე ფეიქრიშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ჯავახიშვილის მეორე ჩიხი № 6.

გიხა გურგენის ძე ამირეზაშვილს,

დაბადებულს 1925 წელს ქასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში, ეძებენ დედა—**სირანა,** მამა—**გურგენ,** და — **ციალა,** ძმა — **ვალიკო ამირეზაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, სტახანოვის ქუჩა № 74.

იასონ და გიძინა ბესარიონის ძე კერვალიშვილებს,

დაბადებულთ 1915 და 1916 წლებში ამბროლაურის რაიონის სოფელ ზედა ჟოშხაში, ეძებს ძმა — **სერგო კერვალიშვილი,** მცხოვრები თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩა № 24.

რედაქტორი გივი ქარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.